პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 9 (1438), პარასკევი, 26 თებერვალი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | „ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО" — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შოთა რუსთაველის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენის თანახმად მიანიჭა შოთა რუსთაველის სახელობის 1965 წლის რესპუბლიკური პრემიები ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის:

1. ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძეს — ლექსებისათვის „პალესტინა, პალესტინა" (ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე").
2. ელგუჯა დავითის-ძე ამაშუკელს — ქანდაკებისათვის „ქართლის დედა".
3. კონსტანტინე სიმონის-ძე გამსახურდიას — რომანისათვის „დავით აღმაშენებელი".
4. ვლადიმერ (ლადო) დავითის-ძე გუდიაშვილს — უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებისათვის.



საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

მხატვარი რ. სტურუა.

პირველი პრემიები, პირველი ლაურეატები

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი — მუშა თუ კოლმეურნე, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი თუ კულტურის მოღვაწე — დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ.

ეს დადგენილება გამოქვეყნდა ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღის — 25 თებერვალს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფრთები შეასხა ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებას და დღემდე გაუგონარი შემოქმედებითი წინსვლის ნათელ გზაზე გაიყვანა. საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის ორმოცდაოთხი წლის მანძილზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მრავალ ისტორიული მნიშვნელობის წარმატებას მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის ჭეშმარიტ კუთვნილებად აქცია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა და უდიდესი სარბიელი მისცა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ აღმავლობასა და განვითარებას.

ამ მემკვიდრეობის გვირგვინი და მშვენება მუდამ იყო და არის გენიალური შოთა რუსთაველის სახელი. ეს სახელი ჩვენს დღეებში უფრო მეტად გაბრწყინდა და ჩაუქრობელ შუქად გაუძღვა წინ ქართულ სოციალისტურ კულტურას, რომლის განვითარებაზეც შეუნელებლად ზრუნავდა და ზრუნავს ჩვენი მშობლიური პარტია.

ამ ზრუნვის ერთ-ერთი დიდი გამოხატულება იყო შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების დაწესება ქართული საბჭოთა ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების შემდგომი განვითარებისა და აგრეთვე შემოქმედებითი მუშაკების წახალისების მიზნით.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა რუსთაველის სახელობის პრემიების — ამ დიდი და საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ღირსეული ნაწარმოებები წარადგინეს. ამ ნაწარმოებთა განხილვა გადაიქცა დიდ და საქმიან მსჯელობად მთელს ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მის დღევანდელ მდგომარეობასა და შემდგომ ამოცანებზე.

და აი ჩვენი ეროვნული დღესასწაულის დიდ დღეებში სიამაყითა და სიხარულით წარმოვთქვამთ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების პირველი ლაურეატების სახელებს: ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო გუდიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი.

— პალესტინა, პალესტინა... რუსთაველის ნაკვალევზე, — სიმბოლიურად ჟღერს სათაური პოეტური წიგნისა, რომელმაც ქართულ პოეზიაში პირველმა დაიმსახურა რუსთაველის სახელობის პრემია. პოეტმა ქართველ მეცნიერებთან — ა. შანიძესა და გ. წერეთელთან ერთად, — პალესტინაში, ჯვარის მონასტერში მონახა შოთას პორტრეტი და მერე შექმნა ამ დიდი მოაზროვნისა და პოეტის, რვა საუკუნის მიღმიდან მოსული ჩვენი დიდი თანამედროვის ამაღელვებელი და შთამაგონებელი პოეტური სურათი. ირაკლი აბაშიძის ამ მაღალმხატვრულმა, ისტორიულ თემაზე დაწერილმა, მაგრამ უღრმესად თანამედროვე ნაწარმოებმა ახალი ძალით გააცოცხლა რუსთაველის სახე და დიდი მხატვრული პათოსით ამეტყველა იგი. ამიტომაც იყო, რომ ამ ციკლის ლექსებმა გამოქვეყნების პირველი დღეებიდანვე დიდი პოპულარობა და სიყვარული მოიპოვეს არამარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

რუსთაველის სახელობის პრემიით აღინიშნა აგრეთვე თანამედროვე ქართული პროზის თვალსაჩინო ნაწარმოები, — კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი". მწერალმა, რომელიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე ქმნიდა ამ დიდ ნაწარმოებს, ჭეშმარიტი მხატვრული ოსტატობით გააცოცხლა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ეპოქა, უმღერა ჩვენი ხალხის სულიერი სამყაროს მშვენებასა და სიმდიდრეს, გვაგრძნობინა ეპოქის სული, მოგვცა მისი სულიერი და მატერიალური კულტურისა და ისტორიული პროცესების სწორი გამოხატულება, შექმნა თანამედროვეობის ცოცხალი და უტყუარი თვალით დანახული ჩვენი შესანიშნავი წარსულის ღირსეული მხატვრული მატიანე.

რუსთაველის წლევანდელი წელიწადი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატებისათვის. დიდი შოთას სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ ქართული სახვითი ხელოვნების ვეტერანს ლადო გუდიაშვილს და ამ ხელოვნების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს ელგუჯა ამაშუკელს.

ლადო გუდიაშვილმა, ამ დაუღალავმა შემოქმედმა, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შესანიშნავი, მაღალმხატვრული ნაწარმოებებით გაამდიდრა ჩვენი სახვითი ხელოვნება. ჭეშმარიტი შემოქმედებითი ძიება, დიდი ოსტატობა, დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ოსტატის უტყუარი თვალი — აი უპირველესი დამახასიათებელი თვისებები მხატვრისა, რომლის ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებიც რუსთაველის პრემიით აღინიშნა.

„ქართლის დედა" — ასე ჰქვია თბილისის თავზე აღმართულ სკულპტურულ ფიგურას, რომლის ავტორიც არის ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარ-მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი. ეს არის გმირული სულისკვეთების, უღრმესად ხალხური და ეროვნული ნაწარმოები, რომელიც ჩვენი დედაქალაქის განუყრელ ნაწილად, მის ერთგვარ ემბლემად იქცა.

რუსთაველის სახელობის პრემიების მინიჭება მთელი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი დღესასწაულია, მისი შესანიშნავი მიღწევების სახალხო აღიარება და უდიდესი ჯილდოა. ეს არის დიდი კულტურულ-ისტორიული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც დიდი რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავისათვის მზადების დღეებს დაემთხვა.

და ეს მარტო დღესასწაული როდია. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისადმი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შეუნელებელი ზრუნვის ეს მკაფიო გამოხატულება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს.

ქართველი ხალხი, რომლის სიხარულსა და ზეიმსაც დღეს მისი მოძმე ყველა საბჭოთა ხალხი იზიარებს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების პირველ ლაურეატებს სიყვარულით ულოცავს ამ საპატიო ჯილდოს და ქართული საბჭოთა ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების მოღვაწეებისაგან მოელის ახალ გამარჯვებებს — მისი შრომისა და ცხოვრების, მისი ბრძოლისა და კეთილშობილი სულიერი სამყაროს, მისი დღევანდელი გმირული დღეების ამსახველ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს.

მწერლები — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები.

19 თებერვალს საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა მწერალთა და მწერალთა კავშირის მუშა-მოსამსახურეთა კრება.

მწერლებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ლევან გოთუა, მარიკა ბარათაშვილი, ანა კალანდაძე და ნოდარ ბურჯიძე. კალინინის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნა ნაზი კილასონია.

სიტყვით გამოსულმა მწერლებმა ერ. ქარელიშვილმა, მ. ფოცხიშვილმა, ე. მაისურაძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ს. წვერავამ, ჯ. ნიქაბაძემ, დ. შენგელაიამ, ი. ლისაშვილმა და ა. შენგელიამ მხურვალედ დაუჭირეს მხარი დასახელებულ კანდიდატურებს.

თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს აგრეთვე მწერლები კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იოსებ ნონეშვილი, ხუტა ბერულავა და ელგუჯა მაღრაძე.

მართალი და შთამაგონებელი

ყოველი ქართველი, და არა მარტო ქართველი, არამედ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია შემოქმედების დიდი შემოქმედებითი ძალა, ღრმა კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით შეხვდება ცნობას ჩვენი მოწინავე ადამიანებისათვის ქართველი ერის დიდების შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ. ეს ნამუსის ჯილდო ღირსეულად დაიმსახურეს პოეტმა ირაკლი აბაშიძემ, რომანისტმა კონსტანტინე გამსახურდიამ, მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა და ახალგაზრდა მოქანდაკემ ელგუჯა ამაშუკელმა.

მინდა ორიოდე სიტყვით გამოვხატო ის გრძნობები, რომლებიც აღმიძრა ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლმა „პალესტინა, პალესტინა!.." ირაკლი აბაშიძე დიდად პოპულარული და საყვარელი პოეტია, მის ლექსებს ხალხი ზეპირად იმეორებს და მღერის კიდეც. ირაკლი აბაშიძის მიმზიდველი პოეზია ფართოდ ცნობილია სხვა ერებისთვისაც. მის მდიდარ პოეტურ სამყაროზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. ირაკლი აბაშიძე მოვიდა ქართულ პოეზიაში მართალი გულით, სამშობლოს ღრმა და წრფელი სიყვარულით, პოეტი ჩასწვდა თავისი ქვეყნის ჭირსა და ლხინს, გაიზიარა იგი და თავისად გაიხადა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ საიდუმლოება მისი პოეზიის სიახლოვისა ხალხის გულთან.

დღესდღეობით ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე" უდავოდ მწვერვალია ირაკლი აბაშიძის შემოქმედებისა, ვიმეორებ დღესდღეობით, რადგან გვჯერა და გვწამს, რომ ხვალ ის მრავალ ახალს და საამაყო სიტყვას იტყვის ქართულ პოეზიაში.

რა გვხიბლავს ირაკლი აბაშიძის ლირიკაში საერთოდ და კერძოდ კრებულში „რუსთაველის ნაკვალევზე"? — თემის ღრმა გაგება და მისი ღირსეული შეგრძნება, მართალი და შთამაგონებელი განცდები.

ალბათ შოთა რუსთაველის დიდმა სიყვარულმა, მართალმა გულმა, სამშობლოს მხურვალე ტრფიალმა მისცა ირაკლი აბაშიძეს ძალა და გამბედაობა გადმოეცა ჩვენთვის შოთა რუსთაველის სულიერი განწყობა, მისი იმდროინდელი მაღალი ფიქრები და მწვავე გრძნობები, როცა ხანდაზმული ბუმბერაზი მგოსანი და მოაზროვნე სამშობლოდან შორს მყოფი და ჯვრის მონასტერში განმარტოებული, ამთავრებდა თავის მიწიერ სიცოცხლეს.

როგორი მღელვარებით ეძიებს და პოულობს ირაკლი აბაშიძე რუსთაველის ნაკვალევს, მიჰყვება მას და ჩვენც ასეთივე მღელვარებით და რწმენით პოეტთან ვართ. ჩვენ „გვწამს და გვჯერა", რომ ირაკლი აბაშიძემ სწორად და მართლად მოგვაწვდინა საუკუნეთა სიღრმიდან გულისთქმა რუსთაველისა, სწორედ ისეთი, როგორიც ის შეიძლებოდა ყოფილიყო და ეს გრძნობა სულიერი სიახლოვისა შოთა რუსთაველთან ლექსთა მთელი ციკლის მანძილზე არ ტოვებს მკითხველს, აღავსებს ნდობისა და მადლობის გრძნობით პოეტისადმი, რომელმაც აცისკრა სულიერი შუამავლობა იდესღაც ჯვრის მონასტერში შეხიზნულ ქართველი ერის გენიასა და მის შორეულ შთამომავალთა შორის.

შთამბეჭდაობისათვის ირაკლი აბაშიძე აქ მრავალ პოეტურ ხერხს მიმართავს: ეს არის ხან გმირის შინაგანი მონოლოგი, ხან მძაფრი დიალოგი, დაწერილი სულ სხვადასხვა განწყობილებით, — ფაქიზი ლირიზმიდან ტრაგიკულ პათოსამდე. ირაკლი აბაშიძე შესანიშნავად ფლობს ქართულ ენასა და მის კანონებს. მისი სიტყვა ლაღია და ნათელი, თავისუფალი და მელოდიური. ის არასდროს არ ამძიმებს თავის ლექსს არქაული ფორმებით, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა მიღმა ამეტყველებს რუსთაველს... თვით რუსთაველის ძალაც ხომ ისაა, რომ მისი ენა დღესაც ცოცხალია და გასაგები ყოველი ჩვენგანისათვის.

...მივყვებით პოეტს „რუსთაველის ნაკვალევზე". და აი, დადგა რუსთაველის აღსასრულის წამი, დამთავრდა მისი მწვავე ფიქრები თამარზე, სამშობლოსა და მის ბედზე, თავისუფალი აზროვნების შემართებაზე, როდესაც იგი შეერკინება ღმერთს:

მაგრამ თუ ზოგჯერ
ვერ ვუშველე ფიქრსაც სადავეს, —
რად მომეც ნიჭი,
გულის ყური,
თვალი გონების.

მოთავდა თითქოს ყოველივე. მაგრამ არა, შოთა რუსთაველს დარჩა ერთი რამ, — უსაყვარლესი და უკვდავი, ერის სიმბოლო და ძლიერება — მისი დედაენა.

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სიმღერავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთის,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან.

და მართლაც, როგორი სიფაქიზით და პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება პოეტი ირაკლი აბაშიძე თავისი მშობლიური ენის სილამაზეს, მის სიწმინდეს, სიმდიდრესა და მშვენიერებას. ის აფაქიზებს ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას.

როდესაც ამთავრებ ამ მრავალჯერ გადაკითხული ლექსების ციკლის კვლავ წაკითხვას, იმსჭვალები სიამაყისა და მადლობის გრძნობით ამ ბრწყინვალე ქართველი პოეტისადმი და გწამს, რომ ირაკლი აბაშიძემ პირველთაგანმა ღირსეულად დაიმსახურა ჩვენი ერის მაღალი ჯილდო — სულმნათი შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

დოდო ანთაძე

ირაკლი აბაშიძეს

რეზო ამაშუკელი

დღეს ისე დათბა, ველარ გავძელით
და სამადლოსკენ ვიქციეთ პირი,
სად ბეთანიის თეთრი სანთელი
ასკილის ტყეში ბავშვივით ტირის.

გატყდა პური და გაივსო ჭიქა,
დაიძრა სიტყვა სასიყვარულო,
ეს სადღეგრძელო რამდენჯერ მითქვამს,
შენზე მაფიქრალს, სულო, მაშველო!

რამ ათქმევინა,
ვით ათქმევინა?!
— რამ და მამულმა,
საქმემ საერომ:
დედაო ენავ, დედაო [illegible]
ჩვენო სისხლო და
ჩვენო მაერო!

როგორ ხმაურობს,
მე უკვე მესმის,
აპრილი გზებზე, თეთრად მმოსავი
და ამ მთებისთვის სათქმელი ლექსი
ციაკენ მიფრინავს მიმინოსავით.

ლექსი-ექსპრომტი ლადო გუდიაშვილს

ჯონ აპდაიკი

აქ, მხატვრის ბინაში,
მზის თვალი ტრიალებს,
აქ, მხატვრის ბინაში,
ბაღია მოშრიალე.
ბაღი დაბუნძლულა
ცხოვრების ხესავით...
ამ ბაღის ნაყოფი
იხილეთ,
ეს არის:

ჩვენ ამ კედლებიდან,
როგორც წარსულიდან,
როგორც მომავლიდან
გვიმზერენ თვალებში
თვალები,
მზიური თვალები ასულთ;
ვაჟკაცთა თვალები
ხმლებივით ნალესი;

და მოაქვს ჩვენამდე
ოცნების გრიგალქარს
რაც დაგვისიზმრებია...
ცხადად არც გვინახავს,

და მოაქვს ჩვენამდე
ამ კეთილ მებაღეს
სული უძლეველი,
გული ვაჟკაცური.
და მოაქვს ჩვენამდე
ამ ფერთა ნიაღვარს
სიცოცხლე, სიხვე,
აწმყო და წარსული.

აქ, მხატვრის ბინაში,
მზის თვალი ტრიალებს,
აქ, მხატვრის ბინაში,
ბაღია მოშრიალე.

თარგმნა **იოსებ ნონეშვილმა**

ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად

25 თებერვალს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 44-ე წლისთავს და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 47-ე წლისთავს.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე**. ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რესპუბლიკის მინისტრები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, ძველი ბოლშევიკები, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, თეატრალური მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ე. მელაძემ**.

დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის დამკვრელმა **ა. ოფაქიძემ**, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა **თ. სტეპჩენკომ**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **თ. გამყრელიძემ**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ვ. ლუკიანოვამ**, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ვ. ანჯაფარიძემ**, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. ხაბეიშვილმა**, ძველმა რევოლუციონერმა, სკკპ წევრმა 1917 წლიდან **დ. ლომაძემ**, პოეტმა **რ. მარგიანმა**, რომელმაც აგრეთვე წაიკითხა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი მიძღვნილი ლექსი.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

რუსთაველის პრემიის ლაურეატები



ი. აბაშიძე

ე. ამაშუკელი

კ. გამსახურდია



ვლ. გუდიაშვილი

დღეს, 26 თებერვალს მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) შედგება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი. დასაწყისი დღის 12 საათზე.

---

* ჯონ აპდაიკი ცნობილი ამერიკელი მწერალია. გასული წლის ნოემბერში იგი სტუმრად იყო საქართველოში. ეს ლექსი-ექსპრომტი მაშინ მიუძღვნა ლადო გუდიაშვილს.

ქართველი პარტიზანები საფრანგეთში

მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცი იბრძოდა ფრანგ პარტიზანებთან ერთად გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულენიც. მათ მრავალ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში მიუღიათ მონაწილეობა. ამ პარტიზანული ბრძოლების მონაწილეა ალექსანდრე გუჯაბიძე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ა. გუჯაბიძემ დაწერა დოკუმენტური მოთხრობების კრებული „ქართველი პარტიზანები საფრანგეთში“.

ქვემოთ ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

ვასილ მელაძე, ალექსანდრე შიხაშვილი და მიხეილ გაგუა საგონებელში ჩავარდნენ. ბანაკთან კავშირის დამყარება ვერ მოხერხდა. ამას ორი გარემოება უშლიდა ხელს: ერთი, რომ [illegible] ნაცნობი ფრანგი ქალი — ჟანეტა, ტყეთა ბანაკში რომ მუშაობდა, მოულოდნელად დაითხოვეს. მეორე კიდევ, მას შემდეგ, რაც პარტიზანებმა გესტაპოს ეზოში დაარბიეს, გერმანელებმა ერთიორად გააძლიერეს ქალაქის დაცვა. ქალაქ პერიგეს ტერიტორიაზე გერმანელების და პეტენის პოლიციის თოთხმეტი საგუშაგო მოქმედებდა. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები მოტოციკლებზე ისხდნენ და კონტროლს უწევდნენ ქალაქში შემომსვლელ და გამსვლელ მანქანებს.

გვიანი შემოდგომის მზიანი დღე იყო. პერიგეში ბაზრობის სამდღიური გამოეცხადებინათ. დიდი მოძრაობა იყო, კარგი ამინდის გამო ქალაქს ახლო-მახლო სოფლებიდან უამრავი ხალხი მოაწყდა. ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვეს პარტიზანებმა. ქართველ ტყეთა ბანაკთან კავშირის დასამყარებლად და ფრანგი პატრიოტების შესაგროვებლად პერიგეში წასვლა გადაწყვიტეს. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ბრანსონმა, მარკმა, მელაძემ, შიხაშვილმა და გაგუამ მოხერხებულად შეაღწიეს ქალაქში. წინასწარ მოფიქრებული გეგმით გაჩერდნენ ბაზრის ცენტრალურ მოედანთან. გაგუა მანქანის კაბინაში დარჩა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მძღოლი მეპატრონის მოლოდინში იყო. მან [illegible] ცილინდრი წარბებამდე ჩამოიწია, ხელში ახალი გაზეთი „ფიგარო“ დაიჭირა და, ვითომ კითხულობდა, თავდახრილი იჯდა, თვალი კი ბიჭებისაკენ ჰქონდა.

მოედნის ქუჩის მარჯვენა მხარეს პარტიზანთა ბატალიონის ეზოისკენ ბრანსონი მიდიოდა; ხოლო ოცდათხუთმეტი მეტრის დაშორებით შტაბის ეზოისკენ მარკი მიჰყვებოდა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყოთ. ვითომ სეირობდნენ, სინამდვილეში კი პისტოლეტები ჰქონდათ მომარჯვებული.

ქუჩის მეორე მხარეს, მარკს რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მელაძე მიჰყვებოდა. მელაძეს კი ალექსანდრე შიხაშვილი. ხელში ფერად ქაღალდში გახვეული ავტომატი ეჭირა.

თუ ვინმეს საგანგაშო რამე შენიშნავდა, ქართული სიტყვა „გასო“ უნდა დაეძახა, ხოლო თუ მიშველება ესაჭიროებოდა — „მიშა“.

მიდიოდნენ ფრთხილად, გული ამოვარდნაზე ჰქონდათ.

არ გაუმართლდათ იმედი. პარტიზანები საბედისწერო შემთხვევის წინაშე აღმოჩნდნენ: ხიდს რომ დაუახლოვდნენ, ბრანსონსა და მარკს ერთსადაიმავე დროს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ორ-ორი გესტაპოელი დაესხა თავს. გესტაპოელებმა პარტიზანებს ხელკეტები დაჰკრეს თავში და პისტოლეტები მიაბჯინეს მკერდზე. ორთავე წაიქცა. მარკმა მაინც მოასწრო შემობრუნება და პისტოლეტის სასხლეტს თითი გამოჰკრა. გასროლა უშედეგო გამოდგა. გონებადაკარგულებს ხელებზე ბორკილები დაადეს, მოტოციკლში ჩასვეს და სწრაფად გასცილდნენ იქაურობას.

გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. შველა რომ ეთხოვათ, ვერაფერს გააწყობდნენ, ბაზრობის გამო ქუჩა ხალხით იყო სავსე. მორიდან სროლა უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლს გამოიწვევდა.

— საქმე ჩავაფუშეთ, თავს მივხედოთ! — ქართულად დაუძახა მელაძემ შიხაშვილს. შიხაშვილი გაგუასაკენ შემობრუნდა. შემობრუნდა და რას ხედავს! გაგუას მანქანასთან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი კაცი დგას. ერთი თავს წადგომია გაგუას, ეჩურჩულება და ეცინება. გაგუას გაზეთი უკუღმა სჭერია თურმე, და ეს აცინებს გესტაპოელს. იქვე ახლოს მეორე პოლიციელიც დგას.

საჭირო იყო სისწრაფე, მოხერხება და თავის განწირვა.

— მიშა, საქმე ცუდადაა, მოუშველე! — შესძახა შიხაშვილმა. მიხეილ გაგუა შეცბუნდა. თავი რომ ასწია, მასთან მდგომმა გესტაპოელმა პისტოლეტის ლულა მიუშვირა:

— ხელები ზევით! ჰმ! ჩვენებური არ უნდა იყო! თქვენში გაზეთს უკუღმა კითხულობენ? — უთხრა და გაიცინა. გაგუამ მისთვის ჩვეული მოხერხებულობა გამოიჩინა. ორთავე ხელი მაღლა ასწია და სიცილით გამომეტყველება მიიღო, გაბრაზებით. და როცა გესტაპოელმა მარცხენა ხელით კაბინის კარი გააღო და ნახევრად შიგ შეყო თავი, მანქანის ძარის კედელს გამოსაძრომად წაავლო ხელი, გაგუა მისკენ მიშვერილ პისტოლეტს არ დაერიდა, ისევ ხელი აიქნია და წიხლი გულ-მუცელში ისე მაგრად ჩაარტყა, რომ პისტოლეტი დააგდებინა, გერმანელი ტროტუარისაკენ დაიღრიჯა და კაბინიდან გადმოვარდა. წამოდგომა სცადა. ესროლეთ, დაუძახა მეორე ამხანაგს, მაგრამ გვიანი იყო, სანამ წამოდგებოდა. პირველს გასროლა მელაძის პისტოლეტმა გაუხვრიტა გული, მეორე კი ალექსანდრე შიხაშვილმა იმ მომენტში მოცელა ავტომატით, როცა ვასილ მელაძეს უმიზნებდა მოსაკლავად.

მელაძე და შიხაშვილი დაძრულ მანქანას შეახტნენ. გაგუამ სწრაფად მოწყვიტა ადგილიდან მანქანა. სპიდომეტრი ასოცზე კანკალებდა, მაგრამ გაგუა სისწრაფით მაინც არ იყო კმაყოფილი. გამოგვედევნებიანო, ფიქრობდა. ქალაქის ბოლოში ხიდს რომ მიაღწიეს, პოლიციის მოტოციკლი შენიშნეს. სწრაფად უახლოვდებოდნენ ქართველ პარტიზანთა მანქანას. მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ორთავე მხრიდან ძლიერი ცეცხლი გახსნეს, გაგუას ზიგზაგით მიჰყავდა მანქანა. თუმცა მათ მანქანას ცეცხლი მოეცვა, საბურავები დაეშვა...

— სწრაფად, ძირს! ხელყუმბარები დავუშინოთ! — ბრძანა მელაძემ.

მშვენიერი მომენტი იყო. ხელყუმბარების გრიალში, კვამლის ბუღში, დაბნეულ ლოდებში სწრაფმავალმა მოტოციკლმა თავი ვერ შეიკავა, გზა განაგრძო და საბურავდაშვებულ, ცეცხლწაკიდებულ მანქანას შეასკდა. ერთი გერმანელი იქვე მოკვდა, მეორე მძიმედ დაიჭრა, მესამე მიწას გაეკრა და ავტომატიდან სროლა დაიწყო. დაჭრილი და ცოცხლად დარჩენილი გერმანელები სახტად დარჩნენ, როცა მელაძე, შიხაშვილი და გაგუა, როგორც მოსალოდნელი იყო, წინიდან კი არ ისროდნენ, არამედ მარცხნიდან, ახლოს ჩასაფრებულები გაიძახოდნენ: «დაგვნებდით ძაღლებო».

ერთი გესტაპოელი დაჭრეს, ავტომატები და პისტოლეტები აართვეს.

იქაურობას სწრაფად უნდა გასცლოდნენ, რადგან მოსალოდნელი იყო კიდევ გამოჩენილიყვნენ გერმანელები. მელაძემ ქალაქში მიმავალი მეზობელი მსუბუქი მანქანიდან გადმოსვა, მდგომარეობა აუხსნა, მანქანის დაბრუნების დღე და ადგილი დაუნიშნა და ბიჭებს დაუძახა, აბა, მომყევითო.

შეღამება გადასული იყო, ქართველმა ბიჭებმა პარტიზანთა შტაბის კარი რომ შეაღეს. ნაბრძოლი და დაღლილი პარტიზანები ოთახში გაწოლილიყვნენ. მელაძეს, შიხაშვილსა და გაგუას დარდით ლუკმა პირს არ ეხსნებოდა. მართალია, ბრძოლა კარგად წარმართეს, სამივენი უვნებელნი დაბრუნდნენ, მტერს დიდი ზიანი მიაყენეს, ნადავლი იარაღიც ბლომად მოიტანეს, მაგრამ ბრანსონისა და მარკის ტყვედ ჩავარდნა საგონებელში აგდებდათ.

— დავალება ვერ შევასრულეთ! ყოველ ფეხის ნაბიჯზე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ გესტაპოელებს წავაწყდით. ბრანსონი და მარკი პოლიციელებმა შეიპყრეს, ნადავლი მანქანა დაგვეწვა, დავხოცეთ ხუთი გერმანელი, გავანადგურეთ მტრის ერთი მოტოციკლი, შევიძინეთ ხუთი ავტომატი და ამდენივე პისტოლეტი! — უხალისოდ მოახსენა მელაძემ ბრანსონის შემცვლელს — პოლკოვნიკ ერნესტს.

* * *

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრი დაინტერესდება ალბათ, რა ბედი ეწიათ სახელოვან ქართველ პარტიზანებს — მელაძეს, შიხაშვილსა და გაგუას. დაბრუნდნენ თუ არა სამშობლოში პარტიზანულ ბრძოლებს საფრანგეთის მთებში, ქალაქებსა და სოფლებში?

დაბრუნდნენ!

კაცობრიობის საერთო მტრის — ფაშისტური ტირანიისაგან საფრანგეთის განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლები 1945 წლის შემოდგომაზე, სხვა თანამემამულეებთან ერთად, ვალმოხდილი სამშობლოში დაბრუნდნენ.

ალექსანდრე შიხაშვილი თბილისში ცხოვრობს, ორი შვილის მამაა. იგი ხორცკომბინატის რეფრიჟერატორ-ბრიგადირია.

მიხეილ გაგუა მშობლიურ [illegible] ავტოსატრანსპორტო კანტორაში მუშაობს მძღოლად.

საფრანგეთში პირველი მერცხალი, ქართველ პარტიზანთა რაზმის ყოფილი უფროსი ვასილ მელაძე ჩვეული გულმოდგინებით განაგრძობს შრომით საქმიანობას თეთრიწყაროს კოლმეურნეობაში.

ხშირად, ძალიან ხშირად, როცა მეგობრები ერთად იყრიან თავს, ომის ჭრილობებით გამოწვეული ფიქრები გაიტაცებთ ხოლმე, ისინი იგონებენ ფრანგ და ესპანელ ამხანაგებს, რომლებიც გვერდით, იქ, შორეულ საფრანგეთში, კაცობრიობის საერთო მტერს ებრძოდნენ.

ალექსანდრე გუჯაბიძე

რიონის ხეობა. ზამთრის პეიზაჟი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

საპატიო წოდების მინიჭება

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის დირიჟორ ვახტანგ ლევანის ძე ფალიაშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 24 თებერვლის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

* * *

ქართული საბჭოთა ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის კინორეჟისორ ირაკლი ისაკის ძე კანდელაკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 23 თებერვლის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 24 თებერვლის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, კომპოზიტორი გრიგოლ ირაკლის ძე კოკელაძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 24 თებერვლის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, კომპოზიტორი ალექსანდრე პეტრეს ძე მირიანაშვილი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

სოხუმი. სასტუმრო „აფხაზეთი“.
ფოტო ზ. რუხაძე.

თებერვალი

მარიამ იორამაშვილი

[illegible]
[illegible] ბარტყებივით [illegible],
მთვარე შუქის აკვანს მირწევს,
ვარსკვლავები უგალობენ ნანას.

მზე შინა და მზე გარეთა,
აზიდულა მზემდე ქედების მკერდი, —
ხვალის დილით მეზნებარეთა
კარებს აღებს გზირი ხალხი ჩვენი.

ელავს ზღვა ლურჯთვალება,
მიწა მკერდს ხსნის, მოდის ოქროს
წვიმა.

საქართველოს უკვდავებად
ქვეყნად დიდი თებერვალი ბრწყინავს.

ეს ზეიმია ოქტომბრის დღეთა

აკაკი ჩხაიძე

ზღვის ზვირთებივით მოიწევა ახალგაზრდობა,
რა შვენიერებს ამ დინებას, ამ აღტაცებას,
მოდიან,
მოაქვთ სიხარული, მზე და ვარდობა,
მოდიან შრომის და მშვიდობის ჯარისკაცებად.

ახალგაზრდობა —
ხვალინდელი დღის დიდებულები,
დიდი ეპოქის მოზარდნი და მეფენი,
დაიზრდებიან ხვალ უდიდეს კრისტალებად,
და მათ სახელებს ჩაიწერენ საუკუნენი.

ამაღლებულა ღიმილი და გულები ფეთქავს,
თითქოს მიწასაც სხვა სითბო და სურნელი აქვს:
ეს ზეიმია თებერვალში ოქტომბრის დღეთა,
და რუსთაველზე მოღიმარი ლენინი დადის.

დიდი ბელადი მშობლიური
მზე ნაბიჯებით,
კაცი, რომელმაც მზე აენთო ეპოქას თვალში,
ხვალ ლაჟვარდებში უფრო მძლავრად ზეაიჭრებით,
კოსმოსურ სივრცეს გადავძრავთ ოქტომბრის მარშით.

ხვალ ჩვენ ვიქნებით მთვარის და მარსის მგზავრები,
და ჩვენი ფიქრი ცას და მიწას არ დაშორდება.

მოდის თაობა:

ჯანით,

რწმენით,

ნათელ აზრებით,

როგორც ეპოქის დიდი ნიჭი და მოწოდება.

ღამე ფერიული, დღესავით ნათელი ღამე. აქაურები ამბობენ: სხვაგან არ იციან ასეთი ცა,

ასეთი მთვარე,

ასეთი ვარსკვლავები.

სადღაც მამალმა იყივლა... ალბათ შუაღამეა.

სახლის ღია ფანჯარასთან კი გოგონა ზის. ტახტზე პერანგის ამარა წამომჯდარა და შორს იყურება. სახლის წინ დაღმართია, ქვევით ლელე გადის. იქით კი შეფერდებაა. ერთ მხარეს მეზობლის ბაღია, ვენახები, უფრო ზემოთ ავერის ახალი სახლი დგას.

მიხვეულ-მოხვეული ბილიკი, ხეხილში რომ გადის, ლელეს გადაივლის და სწორედ იმ სახლთან თავდება. ვინ იცის, ფიქრში რამდენჯერ ჩაირბინა ეს საცალფეხო გზა სტანკამ. ჩაირბინა და ფრთხილად, სულ ფრთხილად მიუახლოვდა იმ სახლის ფანჯარას, სადაც პეტკო ცხოვრობს — სადაც პეტკოს სძინავს...

ახლაც იქ არის ფიქრით, იქნებ იგრძნოს, გამოიხედოს...

ეს იყო სამი წლის წინათ. ერთ დილით ბაღში ჩაირბინა. კრეფდა, იჩქარებდა, არავინ დამინახოსო და პირველი ალუბალი ვაშლის ხეზე... კრეფდა ხალისით... კრეფდა სწრაფად... უცებ რაღაც შეკრთა...

— ოლილე მაიკო...* — დაიკვნესა.

ცოტა მოშორებით ვენახში პეტკო მუშაობდა. პეტკომ თვალი ჰკიდა და წამსვე იქ გაჩნდა.

— სტანკა! ნუ გეშინია, სტანკა! — წამოჩურჩულა და თავი წამოუწია.

ფერწასულმა გოგონამ თვალი გაახილა, გაოგნებულმა ახედა ვაჟს.

პეტკომ გაუღიმა, ალერსიანი, დიდრონი თვალები შეანათა, დაუყვავა, წამოდექიო უთხრა და შეეშველა.

— მე, თვითონ! — ჩაიბუტბუტა სტანკამ, ვაჟის ხელი ფრთხილად მოიცილა, წამოდგომა სცადა.

— ოლილე მაიკო! — კვლავ აღმოხდა გოგონას, — ფეხს ვერ მართავდა, ადგომა უჭირდა.

პეტკომ ხელი შეაშველა — ნუ გეშინია, მე წაგიყვან, — თითქოს სიამაყით ჩასჩურჩულა. მერე ძლიერი მკლავებით აიტაცა, მკერდზე მიიკრა და წაიყვანა. ალმაცერად ახედა. სტანკა დუმდა, ესმოდა მისი გულის ფეთქვა, მისი სუნთქვა, მისი სისხლის ჩქეფა... როგორ უნდოდა გაგრძელებულიყო ეს გზა... კიდევ შორი ყოფილიყო, შორი...

მხოლოდ სამი დღე კოჭლობდა სტანკა, ისიც მინდვრად ტრიალებდა, უფროსებს ეხმარებოდა, თვალი კი სხვა მხარეს ეჭირა, ვერ ისვენებდა. კვლავ პეტკოს ნახვა უნდოდა. მისი მზერა, მასთან საუბარი... ერთხელ იყო და სატვირთო მანქანით ჩაუქროლა, ასე ეგონა ჩამოხტებოდა, მოვიდოდა, უსათუოდ მოვიდოდა. პეტკომ კი უხალისოდ დაუქნია ხელი, ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

შინ რომ მივიდა, სარკის წინ დადგა, გაიპრანჭა, განა ცუდი გოგო ვარ, გაიფიქრა, თვალები ეშმაკურად დააჭყიტა, გაიღიმა.

ერთხელ უფროსკლასელებმა უთხრეს — ჟურნალში შენი სურათი არისო და უჩვენეს. სტანკა მივარდა, დახედა. „ნევენა კოკანოვა“** ეწერა ქვეშით, — მართლაც მგავსო, გაიფიქრა. — ჟურნალი აჩუქეს. შინ რომ მივიდა კვლავაც დახედა: ისეთივე თვალები მაქვს, ისეთივე ცხვირი, კბილებიც. მერე ახლახან გადაღებული თავისი სურათიც დადო გვერდით. კვლავ დააკვირდა, მართლაც ვგავარ კოკანოვას, მართლაც. თავმომწონედ ჩაილაპარაკა, მერე უკმაყოფილოდ დაამატა:

პეტკოს კი, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, არც იხედება ჩემკენ: ალბათ პატარად მივაჩნივარ. მე კი აგერ თექვსმეტისა ვხდები. დაიცა, პეტკო! თვრამეტისაც მალე ვიქნები, შენ ჯინაზე...

...თითქოს გუშინ იყო ეს ამბავი, ისე კი დიდი დრო გავიდა, სამი წელი არც ისე ცოტა დრო ყოფილა. ეს ორი დღე გულია, ბრიგადას ხელმძღვანელობს და მერე როგორ: ბოლოდან პირველ ადგილზე გადმოიყვანა. ამბობდნენ წუწურაკი ხალხია, არაფერი შველისო... მაგრამ სტანკამ თქვას და არ გააკეთოს?... გარდამავალი დროშაც მოიპოვა, კომკავშირის კომიტეტის მდივნადაც აირჩიეს. პირველი კრება რომ გამართა, მოწიწებით ბიჭებსაც გასცა, თუ ამირჩიეთ ჩემი სიტყვაც კანონი უნდა იყოსო...

კოოპერატივის თავმჯდომარე თავის სიტყვას ყოველთვის იმით იწყებდა, რომ თხუთმეტი წელიწადია ხელმძღვანელი ვარო და გამოცდილი კაცი იყო. ახალგაზრდების წინაშე თავს იქებდა, თუმცა ხშირად სცოდავდა საქმეში, საყვედურს არავის აკადრებინებდა. სტანკამ კი ახლა პირველად გაიგონა თავმჯდომარემ, მარტო ძველი დამსახურება საქმეში არ შველისო, დამსახურებულ დასვენებას ულევად არავინ მისცემსო — ფერმაში წყლის გაყვანა ჭიანურდებოდა, თუ სხვა არა, დაგვიანებას ჩვენ მოვუვლითო ამ საქმეს... ერთი ამ კრებაზე ენახა პეტკოს, რა ქალიშვილი დადგა სტანკა. სოფელი იცნობს, რაიონი იცნობს.

ახლა ერთი პეტკოსაც შეეხედა

ს ტ ა ნ კ ა

მოთხრობა

ოლქის მოწინავეთა ფურცელზე იყო სტანკა, შინ მივიდა და სადამოთი სახლის წინ მეზობელ ქალებს თითქოს თავყრილობა გაუმართავთ.

— რა ბიჭი დამდგარა პეტკო! — ამბობდა ერთი.

— სამხედრო ფორმა როგორ უხდება — დაამატა ვიღაცამ.

— რაო, სასიძოდ ხომ არ მოგეწონაო — ჩაურთო მეზობელმა. თითქოს საგანგებოდ სტანკას გასაგონად ახსენებდნენ ქალები. პეტკოს ხსენებაზე გოგონა აენთო, გული უჩვეულოდ აუძგერდა.

დაბრუნებულა! გაიფიქრა... თავბრუ დაესხა, ეზოს ჭიშკართან დიდხანს შეჩერდა.

რა ამბავია, ქალაქში რა ითათბირეთ, რაფერ მოგვიწონეთ, — მოაყარეს, მას არაფერი ესმოდა, არც მაპასუხებდა, თითქოს დამუნჯდაო, ისე შევიდა შინ.

დედამ თვალებში შეხედა, — შეყვარებული ხომ არ არისო, — გაიფიქრა, მხარზე ხელი გადახვია, დაუყვავა. სხვა დროს, დაბრუნებისთანავე სტანკა ათას რამეს უამბობდა... ახლა კი პირიქით, უნდოდა იქნებ დედას პეტკოზე დაეწყო რამე. ვერ მოითმინა, მერე თვითონ ჩაეკითხა შეპარვით მეზობლებში შემოსულ დედას, პეტკოსათვის თვალი ხომ არ მოგიკრავსო. დედას გაეღიმა, მზე ჩაუდგა თვალებში, ტახტზე ჩამომჯდარ შვილს გვერდით მიუჯდა... ჩაეხუტა. სადღაც გულის სიღრმეში ნაღვლიანმა იხარა, ალბათ რაღაც არისო, იფიქრა, და ვაჟი შეაქო. წუთით მის გონებაში ათასი ფიქრი დატრიალდა, თუნდაც ხვალ მზად იყო ქალიშვილის გასათხოვებლად, ქორწილი გადაეხადა ისეთი, მამამისს რომ გაეხარდებოდა, სოფელს რომ გაეხარდებოდა...

აგერ ჩაწვა სტანკა, ძალიან აგრე. მარტო დარჩა თავის ფიქრებთან, თავის პეტკოსთან, ახლა, ალბათ შეუძლია გადაიფიქროს. სტანკას კი არა და არ ეძინება. ლოგინზე ზის და ფანჯარაში იყურება. თვალწინ პეტკო უდგას, მისი თვალები, მისი ღიმილი. მხოლოდ მან იცის ასეთი ღიმილი, მხოლოდ მან და სხვამ არავინ ქვეყანაზე.

ნეტავ როგორ შეხვდება ის. ხვალ რთველია, ალბათ უსათუოდ გამოვა... მაგრამ ნეტავ როგორია იგი ახლა, იქნებ სრულებით არაა ისეთი, როგორიც ახსოვს, როგორსაც ხედავს, სადღაც ოცნების სამყაროში, ფიქრთა ზღვაში. იქნება ახლა სხვანაირია, გამოცვლილა, უფრო ლამაზიც არის, უფრო მაღალიც... მითუმეტეს, — გაიკრავდა გულში სტანკას, როცა ასე ფიქრობდა, ახლა სულაც არ მომხედავსო. წერილებში ყველა მეზობელს მოიკითხავდა ხოლმე, მე კი ერთხელაც არ გაუხსენებივარ.

ერთხელ პეტკოს დედამ კოოპერატივის კანტორაში გახსნა ბარათი. სტანკა თვალებში მისჩერებოდა, იქნებ ამ ბარათში მაინც მახსენოსო... ვინ არ იყო ნახსენები, სტანკა კი არა.

გული დასწყდა მაშინ სტანკას პეტკოს დედაზე, ოჰ, რა მიუხვედრელი ქალია, თუ არ უწერია, ტყუილად მაინც ეთქვა სახელი, რა მოხდებოდა.

ყველაფერი ახლა ავიწყდება, წამით წყენა დაივიწყა, ვითომ რაო, მასზე ნაკლები რითი ვარო.

იგი ახლა ის ბავშვი სტანკა კი არ არის, პეტკოს რომ ახსოვს, უკვე ქალიშვილია, ანთებული თვალებით... და მაშინ მთელი ქვეყანა მისი იქნება, როდესაც სტანკა პლანინას მთებსაც შეეხებოდა, თუ სხვისი იქნება, მთებსაც შეძრავს.

ნეტავ სად და როგორ შეხვდება ხვალ პეტკოს? უცებ ისიც გაახსენდა, დილაობით ლელეზე რომ ჩადიოდა პეტკო პირის დასაბანად, ცივი წყლით რომ იბანდა სახეს, ვარჯიშობდა, ხტოდა...

იქნებ ხვალ დილითვე დაინახოს აქედან, მაგრამ არა, ეს მხოლოდ მაშინ ჩანდა, მაშინ ხედავდა, ახლა კი ყველაფერი დაფარულია, აქედან ვერ მოჰკრავს თვალს...

ფიქრები, ოცნებები, ოცნება გაუსაზღვრელი... ზღაპრულ სინამდვილეში ლამაზია ფიქრი, ოცნება, ისე ლამაზია და მომხიბვლელი, როგორც ამაღლებული განაზრული ღამე...

სადღაც კვლავ იყივლებენ განთიადის მაცნეები, მოვა დილა, ფრაკიული დილა.

აქაურები ამბობენ:

სხვაგან არ იციან ასეთი ცაი,

ასეთი მზე,

ასეთი დილა....

* * *

რთველში პეტკოს ბიძამ დაასწრო სტანკას. მზე ვენახში ვერ შეჭრილიყო, მსხლის ხე იდგა, პეტკოს ბიძას კალათებიც ამოეტანა, გვერდით ორი დოქი იდგა. ერთი, რომელშიც ღვინო იყო, თიხის ჯამით დაეხურა, მეორესათვის ვაზის ფოთლით დაეცვა თავი.

— სტანკას გაუმარჯოს, — წამოიძახა ადგილიდან, როგორც კი სტანკა მიუახლოვდა, წამოდგა, ღიმილით შეეგება ქალიშვილს. ახალგაზრდობის თავყრილობაზე რა ამბავი იყო — ჩაეკითხა. მან მოკლედ უამბო. ბევრი რამ გაზეთიდანაც ჰქონდა გაგებული. ნიჩო* დიმიტრის არაფერი გამორჩებოდა წაუკითხავი.

მერე ისიც ჩაეკითხა — ალბათ ხრისტოსაც ნახავდით. თვალები მოჭუტა, ირიბად გახედა.

მხოლოდ შორიდან, უპასუხა სტანკამ.

დიმიტრი გაყუჩდა, არ მოეწონა — არ ვარგა ჩემი ბიჭი, არაო, ჩაილაპარაკა.

სტანკას ეშმაკურად ჩაეღიმა. ურიგო ბიჭი არ იყო ხრისტო. ინსტიტუტი დაამთავრა, კომკავშირის რაიკომში დატოვეს სამუშაოდ, გარეგნობითაც კარგი იყო, მაგრამ სტანკას არასოდეს უფიქრია მასზე, თუმცა ერთხელ იყო და ხრისტომ გადმოკრა ქარიშმა, იმ ღამეს ნასვამს ყოფილა და მამასთანაც დასცდენია. დიმიტრის გულში ჰქონდა კიდეც სტანკა რძლად წაეყვანა, ვაჟისათვის მოეწონებინა განზრახვა. მას შემდეგ ნიჩო დიმიტრი სხვანაირი თვალით უყურებდა სტანკას. იგი თავისი ოჯახის მომავალ წევრად ეგულებოდა. რამდენჯერ შეხვედროდა, ხრისტოზე ჩამოუგდებდა სიტყვას, რა იცოდა მაშინ, რომ სტანკა მის ძმისშვილზე, პეტკოზე ფიქრობდა, პეტკოს დაბრუნებაზე ოცნებობდა, ის ხომ თავის ფიქრს ვერ ვერავის გაუმხელდა, ვერავის ეტყოდა, ხრისტომ რა იცოდა სტანკას რა ჰქონდა გუნებაში, თორემ პეტკოს ხომ არ შეეცილებოდა...

მალე სატვირთო მანქანა ამოვიდა ჟივილ-ხივილით.

— ნიჩო დიმიტრის გაუმარჯოს! — შესძახეს ერთად ახლად მოსულებმა. დიმიტრი ხელების საქანელით შეეგება, მერე ყველაზე ხელი გადაისვა — იჩქარეთ, იჩქარეთ, — დაიძახა. ახალგაზრდები სტანკას შემოეხვივნენ, ზოგი რას ეკითხებოდა და ზოგი რას. ერთმა გოგონამ ხელი ჩაავლო, — იცანი პეტკო? — ჩაეკითხა.

— პეტკო? — ძლივს წარმოთქვა მან, თითქოს ენა ჩაუვარდა.

— ჰო, პეტკო! ხედავ რა ბიჭია, მომეწონა, იგი სტანკა, რაც ჩამოვიდა, სულ შენზე უფიქრობს.

— მე?

— ჰო! სტანკა!...

ისინი ჯგუფურად გამოეყვნენ, გზისპირას შეჩერებულ მანქანისაკენ წავიდნენ, მანქანიდან სამი კაცი ხალისით ჩამოხტა.

— ნელა, შვილებო, არაფერი დაიმტვრეთ, — გადაულაპარაკა ახალგაზრდებს იქვე დიმიტრის გვერდით მდგარმა პეტკოს დედამ.

— ნუ გეშინია, — გაეპასუხა პეტკო.

— სამ კაცს შეუძლია ჩემი ძმისშვილი, — შენიშნა დიმიტრიმ რძალს. მერე ყურში ჩასჩურჩულა ერთი კარგი სიტყვა და... — პეტკოს დედას კმაყოფილებით გაეღიმა. ხან შვილს შეხედა და ხან სტანკას, მერე გადმოიხედა, ჩაეკითხა.

— პეტკო, ნახე სტანკა?

— არა, — თქვა უცებ და მიმოიხედა.

სტანკა იქვე, შორიახლო იდგა, თითქოს მოახლოვებას ვერ ბედავდა, თავი დახარა.

პეტკომ გაიღიმა, ნელი ნაბიჯით წავიდა მისკენ — შენ სტანკა ხარ!?.., ფეხი როგორ გაქვს? კიდევ ხომ არ კოჭლობ? — მიმართა სიცილით...

ნიჩო დიმიტრი მზად იყო რთველი დაეწყოთ. პირველი მტევანი კოოპერატივში უხუცესს მან უნდა მოეწყვიტა, როგორც ყველაზე პატივცემულ ადამიანს. ღვინით სავსე დოქი აიღო, ჯამზე დაასხა. მერე ვენახის რიგებში შევიდა. ღვინით აივსო ჯამი — წლის უკეთესი ღვინო დადგესო — ჩაილაპარაკა და ღვინო შეასხა ვენახს.

ასე აკეთებდა მამამისი ყოველ რთველზე, თვითონაც არ არღვევდა მამაპაპურ ჩვეულებას.

დიმიტრიმ მეორედ შეავსო ჯამი — ლხინში, ქორწილში დალევით წლევანდელი ღვინო — წამოიძახა და დაცალა, ცარიელი ჯამი ბზრიალასავით აისროლა ჰაერში, ჯამი პეტკომ დაიჭირა..., ცერიალა ტაშმა.

დიმიტრი დაიხარა, ქარვისფერ მტევანს ჩაავლო ხელი, ყურძენი მოსწყვიტა — კარგად იხარა უცხო ჯიშის ვაზმა ჩვენს მიწაზე! — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

— უცხო? — ჩაეკითხა პეტკო...

— მაშ! არ გახსოვს? შენ რომ არმიაში გაიწვიეს, წინა წელს ჩავყარეთ, „რქაწითელი“ ჰქვია — ქართულია.

— ჰო, მართლა, გამახსენდა, პეტკო თვითონაც ეხმარებოდა მაშინ ვაზის ჩაყრაში. რა დიდი დრო გასულა... მაშინ კოჭებამდე ამოყრილი დატოვა, ახლა კი მტევნებით დახუნძლულა...

შარშან „რქაწითელით“ პირველი ღვინო დაწურეთ წელს, მაშინ მინდა იყო პლოვდივიდან, ის ხომ „რქაწითელის“ სამშობლოშია ნამყოფი, ძალიან შეაქო ქართული ღვინო, მაგრამ ბულგარულ მიწაზე მოსული ნაყოფები როდი დაწუნა.

პეტკომ ჩაიღიმა,

— როცა გავსინჯავ, მერე მოგახსენებთ. მტევანი მოწყვიტა, იქვე მდგარ სტანკას გაუწოდა, გასინჯეო „რქაწითელი“.

გოგონამ უხმოდ მოწყვიტა რამდენიმე მარცვალი.

— ტკბილია, მართლაც კარგი ღვინო დადგება — ჩაილაპარაკა პეტკომ და სტანკას შეხედა.

— სტანკამ თვალებით დაუმოწმა.

პეტკოს დედა დიმიტრის მიუახლოვდა, ყურში ჩასჩურჩულა — ამჩნევ რამეს?

— ვამჩნევ, მაშ არა და ვერ ვამჩნევ „რქაწითელიში“ რომ იცვლება სიყვარული...

შემოდგომაა, ფრაკიული შემოდგომა.

იკრიფება მტევნები, ქარვისფერი მტევნები...

აქაურები ამბობენ, არსად არ არისო ასეთი მთვარე, ასეთი მიწა, ასეთი ვენახი...

ბენო კონჯარია

---

* ბულგარულად — ვაიმე დედა.

** ბულგარელი კინომსახიობი.

* ნიჩო — ბულგარულად: ძია.

შრომაში ნაფიქრი და ნამღერი

ქართული პოეტური ფოლკლორი მდიდარია შრომის სიმღერებით. მის საგანძურში მრავლად გვხვდება როგორც არქაული (ტექსტის ჩანაწერი მელოდიის შემცველი), ისე გვიანდელი ხანის მუსიკალური მხატვრული ნიმუშები. ამ სიმღერებისა და ძველი საქართველოს მეურნეობის ძირითადი დარგების შესწავლას ეძღვნება თამარ ოქროშიძის მონოგრაფია „ქართული ხალხური შრომის პოეზია“, რომელიც ამას წინათ გამოსცა „მეცნიერებამ“.

ამ ნაშრომის ღირსება, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ შრომის პოეზიის კვლევა მიზანსწრაფულ შესწავლის გვერდით წარმოდგენილი დაკვირვებები და მასალის განზოგადება ხელმისაწვდომს ხდის ქართული კულტურის ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევას.

მონოგრაფიის პირველ განყოფილებაში მიმოხილულია ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, შრომის პოეზიის შესახებ დაცული ცნობები და ტერმინები. მეორე განყოფილება ეძღვნება შრომის პოეზიის შესწავლის საკითხს.

მონოგრაფიის ძირითადი და ყველაზე ვრცელი განყოფილებაა „შრომის პოეზიის სახეები“.

გუთნურის სახელით ცნობილი ხვნა-თესვასთან დაკავშირებული პოეტური ნაწარმოებები ხალხური სიტყვიერი ხელოვნების ყველაზე მდიდარი უბანია. იგი შრომის პოეზიის ძირითადი სახე იყო. თ. ოქროშიძე გუთნურ სიმღერებს, თემატიკის მიხედვით ხუთ ძირითად ჯგუფად ყოფს და თვითეულს ამომწურავად ახასიათებს.

შრომაში კოლექტიური დახმარება, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელი ერქვა, შრომის პოეზიის უძველეს სახეს ქმნიდა. კოლექტიურ დახმარებას აღმოსავლეთ საქართველოში „მამითადს“, „მუშას“ ან „რიგრიგას“ უწოდებენ, დასავლეთში მას „ნადი“ ჰქვია. საქართველოში „ნადით“ (ურთიერთდახმარებით) მუშაობა უძველესი დროიდან არის ცნობილი, ძველია მისი ლექს-სიმღერებიც.

მკვლევარი ქართულ ნადურ ლექს-სიმღერებს, რომლებშიც ასახულია მუშათა მოქმედება, ფსიქოლოგიური და სოციალური განცდა, საწესჩვეულებო, სამეურნეო და სატრფიალო ჯგუფებად ყოფს, აანალიზებს მდიდარ არქაულ და გვიანდელ მასალებს.

ნადურთან თემატიკურად ახლოს დგას ხელსაქმის სიმღერები, რომლებიც მოსავლის აღება-დაბინავებასთან არის დაკავშირებული. ხელსაქმის ტექსტებს მეტად რაოდენობით ვხვდებით საქართველოში. მკვლევარი სამი მთავარი სახით გამოყოფს ქალების ნადს, გარდა კარგი ხელსაქმის სიმღერებისა, მღეროდნენ სხვა სიმღერებსაც, ყვებოდნენ ზღაპრებს, სხვადასხვა ამბებს, რაც, ჩვენი აზრით, უფრო მეტად აინტერესებდა მსმენელებს. ხელსაქმის სპეციალური ტექსტები კი თანდათან დავიწყებას მიეცა.

საქართველოს უძველესი დროიდან იცნობს შრომის პროცესებს — პურის მკასა და ლეწვას. მოგვეპოვება „სამკალოს“ და „კალოურის“ სიმღერებით ცნობილი მრავალრიცხოვანი პოეტური ნაწარმოები.

საქართველოს მთიანეთში, სადაც ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ, განსაკუთრებით პოპულარულია მწყემსური სიმღერები. თ. ოქროშიძე საფუძვლიანად იხილავს ქართველ მკვლევართა (გ. ვირსალაძე, მ. ჩიქოვანი, გ. ჩიტაია, თ. ოჩიაური) შეხედულებებს მწყემსური ფოლკლორისტული და ეთნოგრაფიული ნიმუშების შესახებ. მკვლევარი მწყემსურს სამ თემატიკურ ჯგუფად ჰყოფს და ცალ-ცალკე მიმოიხილავს მათ.

საინტერესოა, რომ თავის დროს ხშირად წმინდა მითოლოგიური სიმღერების გვერდით იმღერებოდა საშინაო და „კვრინში“ ხმით ნატირალი სიმღერებიც. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფოლკლორში კარგად ცნობილ ფაქტთან, რომლის დროსაც ერთი და იგივე პოეტურ ნაწარმოებს აქვს მრავალფეროვანი ფუნქცია.

თ. ოქროშიძე გვაცნობს მრავალ მნიშვნელოვან დაკვირვებას შრომის პოეზიის ისეთ დარგებზე, როგორიცაა სავენახო, საფეიქრო, საწველხედო, მეტივეური და ურმული.

სამწუხაროდ, უძველესი სავენახო ლექს-სიმღერები ძალიან ცოტა შემოგვრჩა, მაგრამ არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი, მეორე და მესამე ათასეულის წლებით დათარიღებული მევენახეობა-მეღვინეობის კულტურის დამახასიათებელი იარაღები და მევენახეობა-მეღვინეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური არქაული ტერმინოლოგია მიუთითებს საქართველოში მის უძველეს არსებობას.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს შრომის ეს სახე შეიცავს ვენახის დამუშავების ყოველ მომენტს. მოგვეპოვება ვენახის ბარვის, თოხნის, ვაზის წამლობის, გასხვლის, რთველის, ყურძნის კრეფის და წურვის ლექს-სიმღერები, რომლებიც იმღერება როგორც კოლექტიურად, ისე ინდივიდუალურად.

საინტერესოა მკვლევარის მიერ ერთ ხევსურულ ლექსში მიგნებული ტერმინი „საწველხედი“, რომელიც მკვლევარმა გაშიფრა და გაარკვია წლის მოსავლის ლექს-სიმღერების ჯგუფში მოქცეული ნიმუში. საწველხედი სიმღერები ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ყველაზე მეტად განვითარდნენ წლის ნაყოფიერების [illegible].

მძიმე ცხოვრებისაგან გამოწვეული სევდა და ნაღველი ხალხურ პოეზიაში ყველაზე ძლიერად ურმულმა გამოხატა. ამ ინდივიდუალურმა, თითქმის უსიტყვო სიმღერამ, მშვიდმა და ნაღვლიანმა სათუთმა ჰანგმა არ შეიძლება არ იმოქმედოს მსმენელზე, არ ჩააფიქროს იგი ჩვენი წინაპრების მძიმე ხვედრზე. ხალხმა ურმულში საყოფაცხოვრებო და სატრფიალო მოტივებთან ერთად ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ელემენტებიც შეიტანა. ურმული ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს საკუთრებაა.

მკვლევარი მხატვრული ენის საკითხებისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში მიმოიხილავს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტებში ფიქსირებულ, შრომის ყველა სახეობისათვის დამახასიათებელ ტერმინებს.

საქართველოს მრავალფეროვანმა და მდიდარმა ბუნებამ განაპირობა შრომის სახეების სიუხვე. მათში გამოვლენილია ხალხის მსოფლმხედველობა, ეთნოგრაფიული ყოფა, აგრარული წეს-ჩვეულებები, შრომის პროცესი და მისი ტექნიკა — ასეთია დასკვნა, რომელიც გამოაქვს მკვლევარს შრომის პოეზიის ყოველმხრივი, საფუძვლიანი მიმოხილვის შედეგად.

ჩვენი აზრით, ნაშრომს უფრო გაამდიდრებდა საქართველოში არსებული შრომის სახეების შეპირისპირება სხვადასხვა ქვეყნების შრომის სახეებთან, რომლებშიც ეჭვგარეშეა იქნება დიდი ჩვენი ყოფისათვის გასათვალისწინებელი საინტერესო თავისებურებები.

თამარ ოქროშიძის მონოგრაფია „ქართული ხალხური შრომის პოეზია“ ქართული ფოლკლორის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბნის საფუძვლიანი და საინტერესო გამოკვლევაა.

თეიმურაზ ქურდოვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“

გიორგი ჯიბლაძე



რუსთაველის პრემია ჩვენი უდიდესი ეროვნული ჯილდოა და მისი მოპოვება არამარტო ერთი ლიტერატორის ღირსებას გამოხატავს, არამედ, ნიშანდობლივად აღნიშნავს თანამედროვე ქართული კულტურის მაღალ დონეს. ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა ნაწარმოები, რომელიც ქართული გენიოსის პრემიას დაიმსახურებს, ჩვენი ხელოვნების ეტალონს უნდა წარმოადგენდეს.

შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს, რომ თანამედროვე ქართულ რომანისტიკაში კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია — „დავით აღმაშენებელი“ უდიდესი მოვლენაა. ეს არის ისტორიულ-გმირული ეპოპეა, რომლის ძარღვიანი ქართული, მხატვრული მანერა, შემეცნებითი ღირებულება და შემოქმედებითი დიაპაზონი ჩვეულებრივ მოვლენათა რიგს და რანგს ერთვის ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობის ფენომენებს. ავტორის შეუდარებელმა ტალანტმა, ავტორის ენციკლოპედიურმა ცოდნამ, რაც ყოველთვის დაკავშირებული იყო მსოფლიო მწერლების მსგავს გასაოცარ შრომისმოყვარეობასთან, ისეთი მხატვრული ტილო შეუქმნა, რომელიც უკვდავად დარჩება ქართული მწერლობის ისტორიას. ამ რომანში გამსახურდია სრულიად თავისუფალი ჩანს ჭაბუკობისდროინდელი ევროპული გავლენებისაგან და მთლიანად ქართულ ძირებს ეყრდნობა. უცხოურმა მასალებმაც, რომლისაც შეუძლებელი იყო დავით აღმაშენებლის ცხოვრების წარმოსახვა ან მე-11-12 საუკუნეების საქართველოს ჩვენება, მწერალზე ვერ იმოქმედა და იგი ბოლომდე დარჩა მერიდულიდან მომდინარე დიდი ქართული მხატვრული პროზის მაგისტრალური ხაზის ერთგული. „დავით აღმაშენებელი“ მთლიანად ეროვნული მოვლენაა და ერთ-ერთი პირველი ქართული ტეტრალოგია.

მაგრამ გამსახურდიას ეპოპეა არ არის ჩვეულებრივი რომანი, თუნდაც მარტოოდენ ისტორიული ბელეტრისტიკა. ავტორმა საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეთა იმდენად ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა, რომ შეშურდებოდა რომელიც გნებავთ მეცნიერ-ისტორიკოსს. მიუხედავად ყოველივე ამისა მისი მდიდარი პოეტური ფანტაზია, შემოქმედებითი მიმზიდველი ინტუიცია, და თქვენ იგრძნობთ, რამდენად კოლოსალური შრომა უნდა გაეწია ავტორს, რომ ხელოვნების ნამდვილად ასე მონუმენტური ძეგლი შეექმნა.

როცა „დავით აღმაშენებელს“ კითხულობთ, ყოველთვის გიოცებთ კალმის მძლავრი მოსმა, როგორც ეს მსოფლიოს დიდ მწერლებს ახასიათებთ. ჩვენ ვხედავთ ქართული რენესანსის წინადღეს, გვესმის შუასაუკუნეთა რაინდების საჭურველთა ჩხრიალი, სქოლასტიკის არტახების სუნთქვა, მაგრამ უკვე დაწყებული მზის ჩრდილი, მაგრამ უმთავრესი მაინც თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლაა, რომელსაც სათავეში ისეთი კოლოსი ჩასდგომია, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო. ავტორმა ძველი საქართველოს, რუსეთის, ევროპის, შუა აზიის, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიური, ლიტერატურულ-კულტურული და წმინდა ისტორიული მასალების პირდაპირ ფენომენალური ცოდნა გამოიჩინა, რამაც მას ბრწყინვალე თხზულების იშვიათი მიმზიდველობა შესძინა. რადა ღირს თუნდაც იმდროინდელი მწერლობის, ქანდაკების, არქიტექტურის, სამხედრო ტექნიკის ცოცხალი ჩვენება.

და რომანში არ არის ისეთი ადგილი, რომელიც მისი ავტორის უბადლო ნიჭით არ ბრწყინავდეს, არ არის ისეთი დამთავრებული ფრაზა, რომელიც დიდ შემოქმედს არ გაგრძნობინებს. დიახ, ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“ ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურში შევიდა, როგორც მისი ერთ-ერთი უპრეცედენტო შედევრი და ქართული მხატვრული პროზა ერთბაშად ამოუდგა გვერდით მსოფლიო ისტორიულ რომანისტიკას.

თუ ადრინდელ შემოქმედებაში გამსახურდია მართლაც პოულობდა „ხელოვნების გეზს ევროპულსა“ და სამხრეთულ სამეფოთა რომანს „მთვარის“, როცა წერდა, მაგალითად, „დიონისოს ღიმილს“, ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“ რომანისტიკაში სრულიად ორიგინალური გზით მიდის და ქმნის ისტორიული პოეტური პროზის მდიდარ ტრადიციას. ბალზაკის მსგავსად, მისთვისაც რომანი „უდიდესად ტევადი და მასშტაბური ეპოსია“, რომელსაც თავისუფლებით მოქმედი პირები ამშვენებენ. დიდმა ფრანგმა მწერალმა თავისი დროის საზოგადოების ისტორია დაწერა და „ადამიანურ კომედიაში“ სამი ათასამდე პერსონაჟი გამოიყვანა. „დავით აღმაშენებელში“ რუსთაველის წინადროინდელი ეპოქაა გაცოცხლებული და იმდენი მოქმედი პირია გამოყვანილი, რომ ყველა მათგანის მთლიან სიუჟეტში ჩასმა, მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური სახეებით, მარტოოდენ დიდ ხელოვანს შეეძლო.

გადახედეთ რომანის პერსონაჟთა გალერეას.

დედისიმედი, რომელიც გატაცებით უყვარს მეფეს, ისეა წარმოსახული, როგორც რენესანსის ეპოქის ფერმწერალთა მადონები; რეალისტურ ცოცხალ შტრიხებთან ერთად, დედისიმედში ავტორს ჩაუქსოვია რომანტიკული იერი და მისთვის ბუნებრივი მაერთიანება მიუცია. ეს არის ერთი უმშვენიერესი სახე ქალისა, რომელიც კი ოდესმე ქართულ პროზას უჩვენებია. დიდი ოსტატობით არიან წარმოსახული აგრეთვე ავგუსტა, ელენე, გვანცა, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რომლის სახე გამსახურდიას ძალიან ორიგინალური ფერებით დაუხატავს.

ცალკე უნდა გამოიყოს გიორგი ჭყონდიდელის მონუმენტური სახე. ეს ბრძენი, უმიზნო, უგანათლებულესი და საქართველოს ერთგული კაცი, რომელიც გვერდით ამოუდგა ჭაბუკ მეფეს პირველ ნაბიჯებზე, მარტო ქართული პროზისა კი არა, მსოფლიო ხელოვნების ყველაზე დიდებულ სახეთა რიგს დაიმშვენებს. მასში ბევრია მაქიაველის ბუნებრიობის, მისი წინასწარმეტყველური შტრიხები განსდეცობილობისა, ქანდაკებიდან თითქოს პროზის ტილოზე გადატანილი, და იმდენია სიბრძნე, ადამიანური სილაღე, რომ ასეთი სახის შექმნა მარტოოდენ ხელოვნების დიდ ოსტატს შეეძლო.

აქ ერთი მომენტის გათვალისწინებაც აუცილებელია: არიან მწერლები, რომლებიც კარგად ახერხებენ პოზიტიურ გმირთა ჩვენებას, მაგრამ უძლურნი ხდებიან უარყოფით პერსონაჟთა დახატვის დროს. გამსახურდიას ისტორიულ ეპოპეაში ასეთი სადემარკაციო ხაზი არ არსებობს. მას შეუძლია ერთნაირი ძალით წარმოსახოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გმირები. თუ დავით აღმაშენებლის, გიორგი ჭყონდიდელის და მახარაის გვერდით ჩვენ ვხედავთ შესანიშნავ მებრძოლებსა და რაინდებს — ნიანია ბაკურიანს, გვარამ ერისთავს, ჯოჯიკს, მეორე მხრივ, არიან ლიპარიტ და რატი ორბელიანები — გაუმაძღარი, ბარბი ფეოდალები, რომლებსაც სამშობლოს ინტერესები პირადი ეგოისტური მიზნებით შეუცვლიათ, ჰყავთ, საქართველოს დიდებას ფეხქვეშ თელავენ და ქვეყნის გამოხსნისათვის დავითის ბრძნულ ღონისძიებებს ვერაგულ წინააღმდეგობას უწევენ. მათთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ ფეხარიანი, რომელიც ისტორიის ანალებშიაც და გამსახურდიას რომანშიც კოლორიტული სახეა ამ ქართველი მეფისა, რომელიც გასაჭირში მტერს ფეხქვეშ ეგებოდა საკუთარი, პირადი ბედნიერებისათვის. უმეცარი და უზნეო იყო, აღსასრულიც სამარცხვინო და უსახელო ჰქონდა.

კონსტანტინე გამსახურდიამ მშვენივრად დახატა XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის დასაწყისში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ვლადიმერ მონომახისა და სვიატოპოლკის სახეები. ამ ფონზე რუსები კუზმა და მეველე ნიკოლა, ქართველი ხალხის წიაღიდან გამოსული ნადიავეს ხაბუა, სიბრძნე ქორა, ახისთავი ლაშური, მეჯინიბე თეონა, ყივჩაღი შორტვა. საერთოდ, ყივჩაღთა შესახებ არსებული ისტორიული წყაროები გამსახურდიას ზედმიწევნით გამოუყენებია და იმდენი კოლორიტული სურათი დაუხატავს, რომ ჩვენთვის კიდევ უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ გადმოასახლა დავით აღმაშენებელმა 40 ათასი ყივჩაღ-მეომარი თავიანთი ოჯახებით საქართველოში და მათგან რეგულარული ჯარი შექმნა.

ძნელია ერთ წერილში რომანის ყველა მოქმედი პირი დახასიათო, ყველა ოსტატური სცენა თუ ლირიკული პასაჟი აღნიშნო. მაგრამ დაუვიწყარია მეხამე წიგნში ალუაშომორტებულ რატი ორბელიანის აღწერა, თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლები, ბჭობა გიორგი ჭყონდიდელთან, შავშაილ ლოცვის დავითისა და დედისიმედის დიალოგი, გვარამ ერისთავის მისია შარუკანისძესთან, აღსართანის გატაცება, რატის სიკვდილი — ყველას ჩამოთვლაც კი შეუძლებელია — მაშინ თითოეული ტომიდან ვრცელი ამონაწერები უნდა გაკეთო.

ყველაზე ძლიერად, მხატვრული ფერებითა და ძალების დაუზოგავად, რა თქმა უნდა, თვით რომანის ცენტრალური ფიგურა — დავით აღმაშენებელია დახატული. ავტორი ყველგან ცდილობს გმირი მეფის წარმოსახვაში არ გადაუხვიოს მისთვის სარწმუნო ისტორიულ რეალიებს და მოგვცეს დავითის კოლორიტული სახე.

„ქართლის ცხოვრების“ უძველეს ფურცლებზე მემატიანე გვიხასიათებს დავითის ბრძოლას ორი ძირითადი მიმართულებით: პოლიტიკურ-ეკონომიური (ქვეყნის გამოხსნა თურქ-სელჯუკიანთა ურდოებისაგან, მისი გაერთიანება) და სოციალურ-კულტურული (კულტურული). ორივე მიმართულებას ტეტრალოგიის ავტორი არსად მხედველობიდან არ უშვებს, ფართოდ გვიხატავს დავითის ადამიანურ თვისებებსაც, მის ოჯახურ-ინტიმურ წრეს, იძლევა მე-11 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის უაღრესად კოლორიტულ სურათებს სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების ფონზე, ქმნის მთელ პანორამას, როგორც ცოცხალი სურათების დაუსრულებელ გალერეას. იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეების სახეთა გვერდით ჩვენ ვხედავთ ავტორის მიერ ბუნებრივად გააზრებულ გამოგონილ ტიპებს, რომლებიც ისტორიულ და ავტორისეულ პერსონაჟებს მთლიანობაში ჰკრავს; ქართველი, სომეხი, თურქი, არაბი, ევროპელი ისტორიკოსების ნაშრომთა წმინდა მეცნიერული გამოყენებით, გამსახურდიამ თითქმის ყველა ცნობილი ისტორიული პირი შემოიყვანა თავის რომანში, დააკავშირა ერთმანეთთან და მთლიანი სურათი შექმნა.

ეს, დიდ ერუდიციასთან ერთად, ნამდვილად თავდადებულ შრომასაც მოითხოვდა, რასაც ტეტრალოგიის ავტორი არსად არ მორიდებია. ბრწყინვალე მხატვრულ ტალანტთან ერთად, „დავით აღმაშენებელი“ დიდი ისტორიულ-მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგიც არის (მარტო „ქართლის ცხოვრების“ მასალები კი არ არის გააზრებული, არამედ, არაბი ისტორიკოსების იბნ ალ-ასირის, იბნ ალ-ჯაუზის, სომხების — მათე ურჰაელის, ვარდანის, სტეფანოსის, ევროპელი დოკუმენტების, ქართველი მეცნიერების — ივანე ჯავახიშვილის, დ. ბაქრაძის, ნ. მარის, თ. ჟორდანიას და სხვ. მიკვლეული ცნობები), და სრულიად უეჭველია, რომ იგი შეუდარებლად ამდიდრებს მკითხველის ცოდნის საგანძურს. რადა ღირს თუნდაც დიდგორის ომის (1121 წლის 15 აგვისტო) ან კიდევ სპარსელების ხელში ოთხას წელიწადს ტყვედ ნამყოფი ჩვენი დედაქალაქის თბილისის განთავისუფლების (1122 წელი) მშვენიერი აღწერა. ორივე დიდი ისტორიული აქტი იყო საქართველოს ისტორიაში, მაგრამ განსაკუთრებით მეორე, რომლის შესახებაც ქართველი მემატიანე წერს: დავით აღმაშენებელმა მტრისათვის წართმეული თბილისი „დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საუნჯედ და სახლად თვისად საუკუნოდ“*).

რომანში ასევე დიდი მხატვრული ძალით არის წარმოსახული დავითის დაუღალავი ბრძოლა საეკლესიო წოდების გადაუჭრელ საკითხთა მოსაგვარებლად, რასაც იმ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გაერთიანებისათვის. სწორედ დავითის ინიციატივით იქნა მოწვეული 1103 წელს რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრება, რომელმაც ბოლო მოუღო „წოდებრივობის უპირატესობას... ეკლესიაში და პირადის ღირსების... საეკლესიო მოხელეთა არჩევას“ დასაწყისი მისცა. **) ამ აქტით დავითმა უკვე მოიგვარა თავისი პოლიტიკური მიზნისათვის ერთი დიდი აუცილებელი საკითხი, რაც მას საშუალებას აძლევდა სამოქალაქო დარგშიც პირადი ღირსება წინ დაეყენებინა და თანდათან აელაგმა ურჩი დიდგვაროვნები, რომლებიც მეფეს არაერთგზის ხელს უშლიდნენ, დახმარების ნაცვლად, როგორც, მაგალითად, ლიპარიტ ორბელიანი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნელობა ივანე ჯავახიშვილს ასე აქვს გაგებული და გამსახურდიას ტეტრალოგიაშიც ეს ისტორიული აქტი, დავით აღმაშენებელთან მჭიდროდ დაკავშირებული, ანალოგიური კონცეფციით არის წარმოდგენილი ოსტატურ მხატვრულ ფორმებში.

და ყველგან, სადაც დავითს გვიხატავს, გამსახურდია შესანიშნავად გვიჩვენებს ქართველთა დიდ მეფეს, როგორც გულადი მხედარს, ქრისტიანთა დამხმარეს, ქვეყნის დამაარსებელს, მამაცსა და გულად მებრძოლს, უცხოეთში ქართული მონასტრების შემწეს (პეტრიწონი, კვიპროსი, პალესტინა, სინას მთა), გამჭრიახ პოლიტიკოსს, ხიდების შემწყნარებელს, ქვეყნის აღმაშენებელსა და უზადო მოქალაქეს. ის ყველგან ნაჩვენებია, როგორც სოციალი კაცი, მაგრამ ასევე ყველგან ვხედავთ, როგორც ადამიანს, დიდ ადამიანს. მთელ რომანში დავითის მიდუნ ვიცენდი ნაჩვენებია ფერწერული სილამაზით და ქანდაკების გამოკვეთილობით, რასაც თან ერთვის მეფური სიდარბაისლე.

დავით მეფე, ჯერ კიდევ მოწიფულობაში შეხვედრი, 32 წლისა გარდაიცვალა და იმდენი გააკეთა მშობელი ერისათვის, რამდენსაც ათი ღირსეული კაცი ვერ შეიძლებდა. მისი „გალობანი სინანულისანი“, რომელიც ტეტრალოგიის ავტორს მთლიანად გამოუყენებია, საუკეთესოდ მიუთითებს ამ დიდბუნებოვანი კაცის ამაღლებულ სულს, კეთილშობილებასა და ხათრიანობას. ამავე დროს, დავითი უაღრესად წიგნიერია, მეცნიერია. ყველა ეს თვისება გამსახურდიამ თავის საყვარელ გმირს შეუნარჩუნა კიდეც და მხატვრული ძალით ჩვენთვის ყოველმხრივ ხელშესახებიც გახადა. ულეგენდოდ მთელი ოთხი საუკუნით ადრე ის მეცნიერი იყო და ვარსკვლავთმრიცხველიც.

ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“ ისეთი მხატვრული შედევრია, რომელიც იშვიათად მოევლინება ხოლმე ლიტერატურულ ცხოვრებას. სრულიად უეჭველია, რომ ამ რომანით მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში ერთი უდიდესი ძეგლი დაემატა, რომელიც საუკუნეებს გადაიწვდება.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, „დავით აღმაშენებლის“ გარდა, კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა ჩვენი პროზის შედევრები: ათეულობით ნოველა და მოთხრობა, დიდტანიანი რომანები: „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ვაზის ყვავილობა“, მხატვრულად ხორცი შეასხა „გოეთეს ცხოვრების რომანს“, დაწერა მშვენიერი გამოკვლევები მსოფლიო ლიტერატურის, ხელოვნების, თეატრის, კრიტიკის საკითხებზე. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ათეულ ტომზე მეტს ითვლის და ავტორს ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა პირველ რიგში აყენებს.

ჩვენ მივესალმებით კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ეპოპეისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭებას, „დავით აღმაშენებლის“ ოთხი წიგნის ავტორს მხურვალედ მივულოცავთ საჯილდოებით დამსახურებულ დიდ ეროვნულ ჯილდოს და მეგობრულადაც ვეხვევით, როგორც ქართული კულტურის დაუღალავ მშენებელს, რომელმაც მერხულიდან მომავალ მხატვრულ შემეცნებას სრულიად ახალი ჰორიზონტები დაანახვა საქართველოს დიდებისათვის.

---

*) „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955 წ. გამოცემა, გვ. 342.

**) ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948 წ., გვ. 213.

დედაქალაქის მშვენება

რა სწრაფად გაიარა ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის — სკოლის, სამხატვრო აკადემიაში სტუდენტობისა და ასპირანტურაში სწავლის წლებმა. ახალგაზრდა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი დამოუკიდებელი შემოქმედების გზაზე გამოვიდა. რამდენი ოცნება, ძიება და შემოქმედებითი გამარჯვებაა წინ!

ქართველი ხალხი დღესასწაულობდა საყვარელი დედაქალაქის თბილისის 1500 წლისთავს. ყოველი შემოქმედი ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ამ დიდ ზეიმში. ელგუჯა ამაშუკელიც დააინტერესა ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ. თემა საინტერესოც იყო და რთულიც. რამდენი ისტორიული მასალა, ხალხური შემოქმედების ძვირფასი ნიმუშები, ლეგენდები და თქმულებები არის შექმნილი მხცოვან თბილისზე. მოქანდაკე გაეცნო აღნიშნულ მასალებს, შექმნა მრავალი ჩანახატი თუ ესკიზი და თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლის ძეგლის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსზე პირველი პრემია მიიღო. საქართველოს ისტორიული მუზეუმის ფასადი დაამშვენა ამ მოქანდაკის მიერ შექმნილმა შოთა რუსთაველის ბარელიეფმა, მისივე ბარელიეფებით იყო შემკული თბილისის შემოსასვლელების ობელისკები.

იუბილის დღეებისათვის შექმნა აგრეთვე მონუმენტური ქანდაკება „ქართლის დედა“.

ელგუჯა ამაშუკელი თავის შემოქმედებაში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს სიმბოლურ-ალეგორიულ გამოხატულებებს: „ცხენი“, „გაზაფხული“, „ოდილია“, „1917 წ. რევოლუცია“. მისი „ქართლის დედაც“ სიმბოლურ-ალეგორიული ქანდაკებაა. მან სამშობლოს სახით ქართველი დედის ფიგურა აიღო და საინტერესოდაც გადაწყვიტა იგი. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხი მტერს მტრულად ხვდებოდა — იარაღით ხელში, მოყვარეს მოყვრულად — გაშლილი გულითა და ბადაგით სავსე თასით. ამ თემის საფუძველზე მოქანდაკემ „საქართველოს მიწის ასული“ — „ქართლის დედის“ ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავს, ხოლო მარცხენაში — თასი. ადგილის შერჩევას ქანდაკებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გარემო დიდ გავლენას ახდენს მონუმენტის ზომაზე, კომპოზიციის აგებაზე, პოზაზე და დეტალების გადაწყვეტაზე კი.

ზემოხსენებული საკითხების მნიშვნელობა კარგად ესმის მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს და შესანიშნავადაც გადაწყვიტა იგი. „ქართლის დედას“ მან შეურჩია შესანიშნავი ადგილი გორაზე. ქალაქის მრავალი ხედიდან წერტილიდან ქანდაკება კარგად მოჩანს.

ფიგურის სილუეტი სადა და მეტყველია, რის გამოც ქანდაკება ადვილად იკითხება. იგი მეტად დგას ორივე ფეხზე. მოქანდაკის მიერ 20 მეტრიანი ფიგურისათვის გადაწყვეტილი პროპორციები, სადა ფორმები, ლაკონური ხაზები ქანდაკებას დიდ მონუმენტურ ნაწარმოებად ხდიან. მაყურებელს ფიგურის დიდი ძალისა ხვრის, ხვრის, რომ მისი მახვილი ბასრი და ძლიერია, მაგრამ ამ მებრძოლ სულის ფონზე მოქანდაკემ შესძლო ამ ნაწარმოებში შეეტანა ლირიულობაც.

ახალმა ტექნიკამ მოქანდაკეებს ახალი მასალა მისცა, ბრინჯაოს, მარმარილოს, ქვას მიემატა დურალი. ამაშუკელის „ქართლის დედაც“ თავდაპირველად ხისგან იყო გაკეთებული და ხელ ორიოდე წელია, რაც ე. წ. დურალით „შეიმოსა“.

დროთა ვითარებაში „დურალი“ ჩაქრება, ქანდაკება განთავისუფლდება ზედმეტი ბრწყინვალებისაგან და იგი უფრო მიმზიდველი გახდება.

მონუმენტი რომელიც ასე ამშვენებს ჩვენს დედაქალაქს, დიდ როლს ასრულებს ხალხთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში, იგი მედიდურად და მოკრძალებით გვესაუბრება ჩვენი ქვეყნის წარსულზე, ჩვენი ხალხის საამაყო საქმეებზე, თბილისის სახელოვან თავგადასავალზე.

ირინე უზნაძე

ქართული ენის აპოლოგია

შოთა ძიძიგური

ქართული ენა ჩვენი ხალხის ისტორიული განვითარების ყველაზე დიადი მონაპოვარია.

თავისი ფესვებით იგი უკავშირდება მსოფლიოს უძველეს კულტურულ ენათა ჯგუფებს. ეს ენობრივი გენეტიკური ურთიერთობანი მეცნიერებისათვის ახსნის ძველი სამყაროს ცივილიზებული ეთნოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებაში ჩვენი შორეული წინაპრების მონაწილეობას. უპირატესად ენის მონაცემების საფუძველზე ვლინდება ქართველების ოდინდელი მიმართებანი წინა აზიისა და შუამდინარეთის ხალხებთან, რომელთაც დაარწევს საკაცობრიო კულტურის პირველი აკვანი. დღეს გადმონაშთებმა შუმერებმა, ხეთებმა, პროტოებმა, ურარტუელებმა, ელამელებმა შექმნეს დიდი ცივილიზაცია და საგულისხმოა ქართული ენის (ისევე როგორც სომხურის) ეტიმოლოგიური მსგავსება ამ ძველ ენებთან, დადასტურებული ნაშთებითა ხოლო მეცნიერული ძიებების შედეგად.

ქართულ ენაში აღბეჭდილია ჩვენი ხალხის ისტორიული განვითარების გზა. ენა ცოცხალი მეხსიერებაა. აქ დაცულია „ენობრივი ექსპონატები“, მანიშნებელი ხალხის ცხოვრების რეალიებისა, საუკუნეთა სიღრმეში შემუშავებული ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებებისა.

ამიტომაა ქართული ენა ჩვენი დიდი საგანძური.

თხზულებათა ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო. დაიხვეწა მისი გრამატიკული აღნაგობა, შეივსო და გამდიდრდა მისი სიტყვიერი ფონდი. სალიტერატურო ქართული შეჯიბრში ჰქონდა ძველ კულტურულ ენებთან; ჩვენმა უბრწყინვალესმა მთარგმნელებმა „ნაცლელი ენისათვის აღიჯგუს“, სხვა ენათა სიმდიდრე შემოიტანეს, ფორმებს ქართული მიუსადაგეს და ჩვენი ენის სავალდებულო დაბეჭდილი სამუდამო დღის სინათლეზე გამოიტანეს.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც განაპირობეს ქართველი ხალხის მთლიანობა, განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება სალიტერატურო ქართულს.

ეს გარემოება კარგად ჰქონდათ შეგნებული ქართული მწიგნობრობის მესვეურებს. მეათე საუკუნის ქართველი მწერლის ეს სიტყვები — „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, უაღრესად საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც ქართლი, ე. ი. ფრიადი ქვეყანა, მთლიანი საქართველო დახასიათებულია ენის ნიშნის კვალობაზე; ერის ცნების დეფინიციისათვის ამოსავალი დებულება ენობრივი კონსოლიდაციის აღიარებაა. გიორგი მერჩულის ეს ფორმულირება უფრო იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მკაფიო ანარეკლია.

ქართველმა ხალხმა ცნობიერი დამოკიდებულება თავისი ენის მიმართ სამარადისოდ აღბეჭდა თავისსავე ენაში ისეთი ფორმულის გამომუშავებით, როგორიცაა „დედაენა“.

მშობლიური ენის გატოლება დედის ცნებასთან თვალსაჩინოდ საგულისხმოა: ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ხალხის მეტყველური აზროვნების მშვენიერი მიგნებაა და უტყუარი დამადასტურებელი ქართული ენის მნიშვნელობის შეცნობისა.

კიდევ მეტიც.

ქართველმა ხალხმა გააერთიანა სიტყვის — „ქართულის“ მნიშვნელობა, იგი საერთოდ სიტყვის, ენის სინონიმად დასახა. „რა ვეღარ მიამბეს ქ ა რ თ უ ლ ს ა, დაუშვათ ლუქსებს ქართულსა, არ შეიძლებს ქ ა რ თ უ ლ ს, არა ქმნის სიტყვა-მეტყველობა“ — აქ „ქართული“ სიტყვას, საუბარს ნიშნავს.

„ქართული“ საერთოდ სიტყვის მნიშვნელობით სხვანაირადაც გვხვდება ჩვენს ენაში: ტკბილქართული (რუსთაველი: „ემა ტკბილი და ტკბილქართული“, ე. ი. ემა ტკბილი და ტკბილად მოუბარი). ჩანს, „ქართული“ ჩვენს ენაში ზოგად ტერმინადაც დამკვიდრებულა.

„დედაენა“ — „ქართული“ (ზოგადი გაგებით) — „ტკბილქართული“: აჰა შეფასებანი ხალხს თავისი ღვიძლი ენისა.

„ქართულ ენას, როგორც უდიდეს ეროვნულ საგანძურს, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ქართველი მწერლები. ეს პოეტური ხოტბა ეროვნული სულის ანარეკლი და საუკუნეობით შემუშავებული ხალხური თვალსაზრისის ლიტერატურული გამოხატულება.

პირველი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიც მეტად პოეტური სალებავებით გამოთქმულია ქება ქართული ენისა, ეკუთვნის ქართველთა სალიტერატურო ცენტრის მეთაურს, პალესტინელ მოღვაწეს (შემდგომ მოღვაწეობდა სინის მთაზე) იოანე-ზოსიმეს.

თხზულებას ეწოდება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და დაწერილია მეათე საუკუნეში.

მეტაფორულ-მისტიკური სულისკვეთებით დაწერილ ამ პოეტურ ქმნილებაში საოცარი ლაპიდარობითა და სისხარტით ჩამოყალიბებულია ფორმულები, ამსახველი ქართული ენის ღირსებათაგანისა და ეროვნული მნიშვნელობისა.

„ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“ — ეს ფრაზა ჩვენი ენის მდიდარი შინაგანი თვისებების აღიარებაა. „ესე ენაი, შემკული და კურთხეული“, მართალია, „მძინარე არს დღესამომდე“, მაგრამ იგი ღირსია დავაყენოთ ბერძნული ენის გვერდით: ქართული ენა ისეთივე თანასწორია („შვებაჲოა“) ბერძნულისა, როგორც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა უქადაგა სარწმუნოება ქართველებს, მეორემ კი — ბერძნებს; ქართულ-ბერძნული დებია, ვითარცა მართა და მარიამი. ეს კიდევ ცოტაა, ავტორი აცხადებს, რომ ქართული ენა „მოლის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა“, „ყოველსა ენასა ამხილებს ამით ენითა“, ე. ი. ქართული მსოფლიო ენა იქნებაო. რელიგიურ ასპექტში წარმოთქმულ ამ მხატვრულ წარმოსახვას ერთგვარად ეხმიანება ათასი წლის შემდეგ თქმული მეცნიერული დასკვნა: „რომ ძველი საქართველოს წინსვლა უდროოდ არ შეწყვეტილიყო, დიდი ხანია ქართული ენა ერთი მსოფლიო ენათაგანი იქნებოდა“ (ნ. მარი).

უთუოდ საგულისხმოა ნიკო მარის შენიშვნები: „ქება ლეგენდარულია, მაგრამ მის გარეგნულ ფორმას თავი დავანებოთ და ყურადღება მივაპყროთ მის შინაარსს, და შინაარსი კი სრულიად ცხადი გამომხატველია იმისა, რომ ქართველებს დიდი ხანია, რაც შეუმუშავებიათ ეროვნული თვითშეგნება ქრისტიანობის საფუძველზე. ამ თვითშეგნებას, რომელიც გამოხატულია იმ დროისათვის დამახასიათებელი ლეგენდარული ფორმით, ჰქონია რეალური სარჩული“.

პალესტინელ-სინელი ქართველი მწერლის საოცარი ტრაქტატი საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებს ცხოველმყოფელობასა და ელვარებას.

გიორგი მერჩულის შეფასებით, ხანძთლის ერთ-ერთი მხატვრული ქმნილებები „სიტყვანი ფრიად კეთილ არიან“. „ფრიად კეთილ სიტყვათა“ ხელოვანნი — თვით მერჩული, მთაწმინდელნი, შავთელი, ჩახრუხაძე, სწორუპოვარი რუსთაველი, ქართლის ცხოვრების ავტორები ავსებენ, ამდიდრებენ, რასაც ქართულ ენას: შოთას ენა „არაფრით ადგილობრივი არ არის... იგი უკვე მსოფლიო ენაა“. (ნ. მარი). წყობილი სიტყვის ოსტატები ხალხური მეტყველების წიაღიდან კრეფენ მარგალიტებს და საერთოეროვნული ენის განვითარებას მტკიცე ნიადაგს უქმნიან.

...მოგვიანო საუკუნეებში, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ხანაში, როდესაც გაიყო სალიტერატურო ქართულის გზა და ნარევი სტილი ქართული ენის მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა. სპარსოფილობის ტენდენციებმა შებღალა ლექსიკა, უცხოური სიტყვების მომძლავრებამ ერთგვარად მოიცვა ეროვნული სიტყვათშემოქმედება, მწერლობაში გზა დაეხშო კლასიკოსებიდან მომდინარე ძირეულად ქართულ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ მასალას...

და ამ დროს ახალი ძალით ირაზმება სიტყვის ოსტატები ჩვენი ენის პრესტიჟის დასაცავად. ახალი ენობრივ-ლიტერატურული მოძრაობის მეთაურად გვევლინება პოეტი არჩილი, რომელიც გმობს ენის ორგანიზმში დამკვიდრებული და არაბუნებრივი ფორმების შემოტანას; მწერლობაში რუსთაველური ენობრივი ტრადიციებისათვის შეუგუებელი და შეუფერებელი გრამატიკულ-ლექსიკური ელემენტების ამოტევებას. მისთვის მიუღებელია იმ მწერალთა პოზიცია, რომლებიც ამას აღიარებენ: „მე ოდენ ქართულ ენასა მარილად ერთ სპარსული, თათრულიც გამერევა, მეჭია მათი არსული“. „სპარსთა ენისა სიტკბომან მაპოვნა მესიყობანი“.

მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი, ახალი სალიტერატურო ქართულის მშენებლები და მეხოტბენი, იბრძვიან ქართული ენის შელახული უფლებების დასაცავად. „ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, თმევად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ ობიექტურად, თავისთავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში არის ღატაკი და ღონემიხდილ არსებას მოგვაგონებთ“, აცხადებდა იაკობ გოგებაშვილი. დაიბადა ფორმულა: ენა — ეროვნების მთავარი ბურჯი; ქართული ენა „ეკუთვნის მაღალ აგებულების ენათა დასსა“.

ქართული ენის დიდი რეფორმატორი ილია ჭავჭავაძე აღიარებდა: „...ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შენატრიან“. მისივე აღიარებით, „ენა სულით რამ არის, საზოგადო საკუთრება...“ მკვეთრად ჟღერს ილიასეული ფორმულა: „მტრობა ენის არის მტრობა ქვეყნის“.

ქართული ენის ფენომენი აღძრავს აკაკის, რომლის პოეტურ მეტყველებაში ქართული ენის მოქნილობამ მწვერვალს მიაღწია. მისი სიტყვებია: „ბევრი მეტაფორა ჩვენს ქართულს ენაზე, დაკვირვებივარ: ხან ავერთოვანებულვარ, ხან დაუნაღვლიანებულვარ, უძილობით ხომ ღამეები მითევია“.

ხოლო გრიგოლ ორბელიანის უკვდავი სიტყვები: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ — სწორუპოვარი ფორმულაა, შეუდარებელი „ენობრივი ჰიმნია“, წარმოთქმული ჩვენი ენის მნიშვნელობის დასახასიათებლად, მისი უფლებების დასაცავად. ძნელია ლიტერატურის ისტორიაში მოიძებნოს უფრო მკვეთრი ფორმულა, ლაკონიური და ძალისმიერი.

„ქართული ენა გადაურჩა ჟამთა სიავეს, ისტორიულ ქარტეხილებს, მრავალ განსაცდელს. ბევრი მისი ტოლი ენა გაქრა და გადაშენდა. ქართველმა ხალხმა ისტორიულ წარსულში ღირსეულად დაიცვა თავისი ღვიძლი ენა.

დღეს ქართული ენა დიდ შარაზე გამოსული და, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, არნახულ აღორძინებას განიცდის.

ქართულ პოეზიაში შეიქმნა უბრწყინვალესი საგალობელი ქართული ენისა, მანიშნებელი დიდი სიყვარულისა და პატრიოტიზმისა, რითაც გამსჭვალულია საბჭოთა ხალხი თავისი განახლებული და აღორძინებული მშობლიური ენისადმი.

ირაკლი აბაშიძის ლექსი „ხმა კატამონიდან“ (ლექსების ციკლიდან — „პალესტინა, პალესტინა — რუსთაველის ნაკვალევზე“) ენობრივი ჰიმნია, რომელიც ჩვენი მწერლობის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს, როგორც მხატვრულ სახეებში გამოთქმული ქება მრავალსაუკუნოვანი და მრავალტანჯული ქართული ენისა.

პალესტინაში რუსთაველის მიერ წარმოთქმული ქება ქართული ენისა — ეს უბადლო პოეტური ლიდარობა — შორეულად ეხმიანება მეათე საუკუნის იმ პალესტინელი ქართველი მწერლის ქებას („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“), რომელმაც სათავე დაუდო ქართულ ლიტერატურაში ანალოგიური ჟანრის განვითარებას.

ირაკლი აბაშიძის პოეტური წარმოსახვით, შოთა რუსთაველი თავისი ცხოვრების მიმწუხრისას, სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარზე, იგონებს ნათესავს თვისს, მეგობარს თვისს, მრუდსა და მართალს, მტერთა და ძმათა, რომელთაც უკვე დაშორდა; ყველაფერი მოთავდა, ყველას მოეკვეთა, გამოემშვიდობა...

მაგრამ არის ერთი დიადი და განუშორებელი რამ, მხოლოდ ერთი, რომელიც მერმა სულთმობრძავ პოეტს და მას ვერ თმობს სამარის კარად.

ეს არის ქართული ენა — ენა იმედისა.

სამარის კარად მისული რუსთაველის წარმოსახვაში გონებიდან მოუშორებელი და თვალწინ დამდგარი ფენომენი — ქართული ენა გასულიერებულია და ამიტომ მას მიმართავს: „ბრძენო ქართულო!“, „გმირთა-გმირო!“ იგი ხან ქვესკნელში მძრომია, ხან — ცაში მჭვრეტელი, ახლა რომ ხატად ქცეული („შენ, ხატად ქცეულო“) და მისი გონების წინაშე აღმართულა.

პოეტს უღავი სალებავები, უხვი ეპითეტები მოუშველებია, რომ განმარტოს, დაახასიათოს, დაასურათოს დიადი ქართული ენის ძალა და მნიშვნელობა. ქართული ენა ნიჭია ჩვენი ერისა („შენ, ჩ ვ ე ნ ო ნ ი ჭ ო!“), სიმბოლო და სუნთქვა. ამის შესაბამისად — იგი ნიჭია თვით პოეტისა, როგორც საფუძველი ინდივიდუალური სიტყვათშემოქმედებისა („შენ, ჩ ე მ ო ნ ი ჭ ო“).

პოეტმა ქართულ ენაში დამკვიდრებული კომპოზიტა „დედაენა“ გათიშა და რთულ სიტყვაში შემავალი კომპონენტების გადაადგილებით სიტყვას მეტი გამომსახველობა მისცა, მკვეთრად წარმოაჩინა ენის გაგება, როგორც დედისა („დედაო ენავ“ „ენავ დედაო“).

ქართული ენის სიმტკიცისა და მეგრძნობიარობის სიმბოლოდ მიჩნეულია კირი, რომელიც შემკრავი და შემადუღებელია ჩვენთა ქვათა, ჩვენი სიმაგრეებისა. ამავე დროს, ენა ტკბილი მალამოა, ტკბილი სევდაა, მწარე ლხინია, სამარის ცრემლია. ქართული ენა ყოვლის მთქმელიცაა და ყოვლის არმთქმელიც (საგულისხმო დაპირისპირებაა).

ლექსის — „ხმა კატამონიდან“ საგანგებო პასაჟი გულისხმობს ენის უკვდავების აღიარებას, მისი მარადისობის ხაზგასმას. შესაძლოა დაეცეს ყველა სიმაგრე, მოისპოს ყველა ციხე, დაიღუპოს ყველა დიდ ხსოვნისა, ყოველ ხეოვს იქნებ დაატყდეს მეხი, ყოველ ძეგლს დაეცეს ღამე, — ენას კი ვერავითარი ძალა ვერ გააცამტვერებს, რა დრო, რა დასასრული მას უკვდავ სხეულს. ქართული ენა „მარადია“, „უკვდავია“, „უკვდავია“.

ენაში ასახულია ერის წარსული, მისი ისტორიული განვითარება, ენა ფასდაუდებელი წყაროა კაცობრიობის განვლილი ეპოქების შესასწავლად და გასათვალისწინებლად; ენა ისტორიის მოწმეა. ეს ისტორიზმი ენისა დაუნჯებულად არის წარმოდგენილი აბაშიძის პოეტურ ფორმულირებაში: პოეტი ენას „წარსულის ძეგლს“ უწოდებს. მაგრამ ენა არ შეიძლება გავიგოთ, როგორც მხოლოდ მოლოდინებული ისტორიული ამბებისა, წარსულ დღეთა ამსახველი და აღმბეჭდავი. ენა არ არის ერის მარტოოდენ წარსული, იგი აწმყოცაა და მომავალიც. ენის პერსპექტივაში ხალხის უკვდავებაა ნაგულისხმევი; თუ ენა არ „წახდა“, „ერიც არ წახდება“, არ „მოეცხება ჩირქი ტაძარსა წმიდას“. „ენის სული“ (როგორც კარლ მარქსი იტყოდა) თავის არსში შეიცავს ისტორიულ უწყვეტობას და, მაშასადამე, იგი ჩვენი ხვალინდელი დღეცაა. ეს ჭეშმარიტება ირ. აბაშიძის პოეტურ აზროვნებაში გამოსახულია „წინგამხედაობის“ ცნებით: ენა, როგორც ისტორიული კატეგორია — „წარსულის ძეგლი“ „წინ იხედება“ და ამ ფორმულით მინიშნებულია მის პერსპექტიულ განვითარებაზე: „წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო“...

დედაენა აკვნის ჰიმნია.

დედაენა დიდი ალამია.

ამრიგად, მიღებულია ხოტბის ფორმულები:

„შენ, ჩვენო ნიჭო, სიმბოლოვ და ფრინავ“...

„შენ, ჩვენო სუნთქვის ალამო“...

„შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო“...

„შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა“...

„მხოლოდ შენ, უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს...“

„უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო“...

„შენ, მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო“...

„შენ ყოვლის მთქმელო, ყოვლის არმთქმელო“...

„შენ, გმირთა-გმირო, ბრძენო ქართველო“...

„წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო“...

„ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო“...

„ხან — უფსკრულო ჩემო, ხან — საჭვრეტელო“...

„შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის“...

ირაკლი აბაშიძის პოეტური ქმნილება „ხმა კატამონიდან“ ჩვენი ეპოქის ჰიმნის — დედაენის უკვდავი საგალობელია.

ქუთაისი. შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა.

ფოტო ა. ნარკვიაშვილისა.

„ესპანელები“ სომხურ თეატრში

თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრმა მაყურებელს უჩვენა მიხეილ ლერმონტოვის დრამა „ესპანელები“.

„ესპანელები“ თარგმნა საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ქაჯვორიანმა.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. აბარიანმა. რეჟისორმა კარგად გაიაზრა და შექმნა სოფლის კოლორიტული სცენები, განსაკუთრებული ადგილი დაუთმო სიმღერას, ცეკვას, მხიარულ სცენებს, რომლებიც თანმიმდევრული რიტმით მიჰყვება დრამატულ მოვლენებს. სპექტაკლი აღსავსეა ცვალებადი, ნაირ-ნაირი ფერებით, რომლებიც ბოლოს ერთ მთლიან, ძალზე კოლორიტულ გამას იძლევა. რეჟისორის ნამუშევარს ახასიათებს თავდაჯერილობა და ჭეშმარიტად მხატვრული სიხალისე. აბარიანის მიერ შექმნილ სპექტაკლს არც სანახაობითი მომენტები აკლია და არც ფსიქოლოგიური სიღრმე.

რეჟისორი თავის მხატვრულ ჩანაფიქრს მთლიანად მსახიობს ანდობს, მისი მეშვეობით ქმნის სცენის მრავალფეროვნებას და ფსიქოლოგიურ სიცოცხლეს.

რეჟისორის გემოვნება და სტილი განსაკუთრებით გამოიკვეთა მსახიობების ლ. ფირუმიანისა და რ. ბაბოვიანის თამაშში. ლ. ფირუმიანის ემილიას ხმაში ღერს უნაზესი და ძლიერი სიყვარული. მას უშლიან ცოლად გაჰყვეს ფერნანდოს, რომელიც არ არის კეთილშობილური წარმოშობისა. ემილია ამაზე უპასუხებს: „კეთილშობილება ის კი არ არის, რომელიც მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი, არამედ ის, რომელსაც ადამიანი გულით ატარებს“. ეს სიტყვები დიდი შინაგანი დამაჯერებლობით გადმოსცემს ლირიზმით აღსავსე კეთილშობილი გმირის ბუნებას. მიჯნურის თვისებებით აღჭურვილი ემილია ზოგჯერ ბრმად მიჰყვება ცხოვრების კლდოვან ნაპირებს, იბრძვის, მარცხდება, კვლავ იმარჯვებს და ბოლოს, მიუხედავად ფიზიკური განადგურებისა, მორალურად გამარჯვებული გამოდის.

მსახიობისათვის ეს როლი სადებიუტოა და მაყურებლის მხურვალე მოწონება მის უდავო წარმატებაზე მეტყველებს. ემილიას მხარს უმშვენებს ესპანელი ჭაბუკის, ფერნანდოს როლის შემსრულებელი, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი რ. ბაბოვიანი. ფერნანდო ბავშვობიდანვე შეეთვისა და გაუმიჯნურდა ემილიას. „ის ბავშვი შენ ხარ, რომელიც ამ ოცი წლის წინათ, განთიადისას, ეკლესიის ბჭესთან მიგდებული გიპოვნე. არ ვიცი ვინ დაგბადა. და არც მინდა ვიცოდე“! — დაუნდობლად მიმართავს ალვარეცი თავის აღზრდილს — ფერნანდოს და „უგვარო წარმოშობის“ ჭაბუკის წინაშე გადაულახავ სიმაგრედ აღიმართება.

სიყვარულის უძლეველი ძალა არ ასვენებს ჭაბუკის გულს. ის გასაოცარი ძალით წინ აღუდგება საზოგადოების მიერ ერთხელ დაკანონებულ მანკიერებას, თუმცა ამ ბრძოლაში დაღლილ-დაქანცული გამოსავალს ვერ პოულობს.

რ. ბაბოვიანმა უსაზღვრო გატაცებითა და დიდი სიყვარულით შექმნა ფერნანდოს სახე და ამით კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა თავის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

დონ ალვარეცი „ესპანელების“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. ამ როლის განსახიერება სპექტაკლში წილად ხვდა სომხეთის სსრ დამსახურებულ არტისტს ა. არშაკიანს.

დაუნდობლობა, შურისძიება, ბრძოლა სიკეთისა და სიყვარულის წინააღმდეგ, — აი, დონა მარიას ხასიათი. ა. ქამქორიანი გასაოცარი ალღოთი და მიზანსწრაფვით ხატავს ბოროტი და პირმოთნე ქალბატონის სახეს.

პიესის სიუჟეტის კვანძის გახსნა და იდეური ხაზის განვითარება დაეკისრა იტალიელ მისიონერს, პადრე სორისს, რომლის სახეც მშვენივრად განასახიერა საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ქაჯვორიანმა.

მსახიობის გარდასახვის ყველა კარგი თვისება გამოავლინეს ნოემისა და მისი მამის როლების შემსრულებლებმა, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. სტეფანიანმა და ს. ბაბლოიანმა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. პაპაზიანმა ჩვეული გამომსახველობით, როლის აზრიანი და ლოგიკური განვითარებით, წარმატებას მიაღწია მოხუცი სარას როლში. კარგად განასახიერეს ავაზაკების როლები მსახიობებმა ვ. ალაჯანიანმა, ბ. ერთაზიანმა, ა. ადილხანიანმა, რ. ალაჯანიანმა და სხვ.

სპექტაკლის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ ერ. ნალბანდიანის უჩვეულოდ ორიგინალური მხატვრობა. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კომპოზიტორ ს. დემირჩიანს, ცეკვების დადგმა — ნ. გრიშკევიჩს.

შაუმიანის სახელობის თეატრის კოლექტივმა „ესპანელების“ დადგმით კიდევ ერთი შესანიშნავი სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს.

თ. გომართელი

გერმანელი ჟურნალისტი საქართველოს შესახებ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველკვირეული ჟურნალის „ფრაიე ველტის“ რეპორტიორმა გიუნტერ შტაინმა ამას წინათ გორკის მარშრუტით იმოგზაურა უკრაინაში, საქართველოსა და აზერბაიჯანში.

საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები ჟურნალის ორ ნომერში (№ 49, 50) გამოქვეყნდა. რეპორტაჟს ახლავს გ. შტაინთან ერთად მყოფი ს. მალკინის ფოტოსურათები.

გ. შტაინი საქართველოში მოგზაურობის აღწერას მ. გორკის მოთხრობის „ადამიანის დაბადების“ გახსენებით იწყებს. შემდეგ განაგრძობს:

„საშინლად მიმქრის ავიტანი, როცა ორმოცდაათცხენისძალიანი მსუბუქი ავტომანქანა ისე მიჰყავთ, თითქოს კოჭლი ჯაგლაგი იყოს. ასეთ მშვენიერ ასფალტიან გზას, სოხუმის გზატკეცილი რომ ჰქვია, მსოფლიოში იშვიათად ნახავთ, მაგრამ სტუმართმოყვარეობის გამო ავტომანქანის სიჩქარეს 40 კილომეტრს არ აცილებენ. საქართველოში სტუმარი ძალიან ძვირად ფასობს და მას სათუთად უფრთხილდებიან...

ბოლოს კოლხიდას მივაღწიეთ. ძნელია დაიჯერო, რომ ესოდენ მომხიბლავი მთის მდინარე განუზომლობით სასიცოცხლო განამაყოფიერებელ ძალად იქცევა. ისევე, როგორც ამ 72 წლის წინათ (მ. გორკიმ საქართველოში 1892 წელს იმოგზაურა. ო. ხ.), აქაურობა ახლაც თვალუწვდენელ ხეებს დაუფარავს. ნეტავ რომელი ხის ძირას ჩამოჯდა გორკი სასაუზმოდ? ნეტავ რომელი ხის ძირას იყო მიმალული მშობიარე ქალი? რამდენიმე ტოტი გადავწიე და ერთბაშად შევდექი: თვალი მოვკარი ბუჩქნარში აღმართულ ახალგაზრდა დედის უზარმაზარ ქანდაკებას. დედას ხელში ბავშვი ჰყავს აყვანილი. მაშ გორკიმ აქ მოამშობიარა შეწუხებული ქალი! ტოტებს ფაქიზად შევუშვი ხელი...

— გიუნტერ, გველოდებიან, — მომმართა სამა მალკინმა.

ბაღის წინ, ბედნიერი დედის ქანდაკების გვერდით, თეთრხალათგადაცმული ქალები და გოგონები შეკრებილიყვნენ.

— ეს რა არის, საავადმყოფოა? — ვკითხე.

სამმა მხრები აიჩეჩა, კონსტანტინეს ეცოდინებაო.

კონსტანტინე ლომიამ, სოხუმელმა მწერალმა და ამჟამად ჩვენმა მასპინძელმა, შეკრებილთაგან ერთი ქალი გამოარჩია და წარმოგვიდგინა.

— იცნობდეთ, ექიმი ცაცინო ბარგანჯია.

— მოხარული ვარ მოგესალმოთ ჩვენი სამშობიარო სახლის სახელით, — მომმართა სიმპათიური გარეგნობის ექიმმა ქალმა.

„ო, მაშ ზედ იმ ადგილას, გორკიმ რომ ქალი მოამშობიარა, ახლა სამშობიარო სახლი აუგიათ!“ — გავიფიქრე.

ეს ამბავი თურმე გორკისაც გაუგია. მოხუცი ტანდილ პილია, იქვე ახლომდებარე აქუბის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე, ახლა ერთ ამბავს მიყვება:

— 1928 წელი იყო. სამშობიარო სახლის გახსნაზე ალექსი მაქსიმეს-ძეც მოიწვიეთ. ო, რა ზეიმი გადაიხადეს! ამის შემდეგ ბავშვები „ბიძია ალექსის“ მთელი კვირა აღარ მოასცილდნენ. ალბათ გეცოდინებათ, რომ გორკის ბავშვები ძლიერ უყვარდა. როგორც კი სოფელში შემოვიდოდა მაშინვე ბავშვების გუნდი შემოეხვეოდა და მასაც მეტი რა უნდოდა. უყვებოდა საინტერესო თავგადასავლებს, იგონებდა ათასგვარ გასართობს, უკეთებდა პატარა სტვირებს. აი იქ, ზემოთ, — მოხუცმა თუთის ხეებში ჩაფლულ ეზოზე მიმითითა, — ჩაწვებოდა ჩვენს შორის და გვიყვებოდა მთისა და ბარის ამბებს და იზაბელას მიირთმევდა. იცით რა არის იზაბელა? — მეკითხება მოხუცი. მე უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

მცირე ხნის შემდეგ ჩვენც იმ თუთის ხეებქვეშ ვსხედვართ. მასპინძელს თავისი განთქმული იზაბელა შემოაქვს. ეს არის ვაზის ჯიში, რომელიც ხესავით იზრდება. ვაზის ხის სისქე მეტრის მეხუთედს აღწევს, სიმაღლე კი ოცდაათ მეტრს. ვაზი თუთას დახვევია და რქები ნაყოფით დამძიმებია.

ჩვენ თუთის ფანჩატურში ვსაუზმობთ. ჩვენი პატარა სუფრის თამადად გიორგი ქარჩავა აირჩიეს. ბავშვობაში ის, თავისი მამა-პაპის მსგავსად, გუთანს დასდევდა და ძველებურ ყაიდაზე ხვნა-თესვას მისდევდა. დღეს იგი საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი კოლმეურნეობის ხელმძღვანელია და რესპუბლიკის დამსახურებული ვეტექიმი. მათ კოლმეურნეობაში იმხელა სიმინდი მოჰყავთ, რომ, ჩემი არანორმალურად მაღალი ტანის მიუხედავად, ხელაწეულიც ვერ შევწვდი სიმინდის ქოჩორს.

ეს ამბები (და ისიც, რომ გიორგის რვა შვილი ჰყოლია) მე თანდათან შევიტყე, სანამ ცაცინოს ოჯახში შინდაწურულ ღვინოს, მათი ჩვეულების მიხედვით ძველისძველი, მორუხო-მოყავისფრო ყანწებით ვსვამდით.

მზე თანდათან გადაიწვერა. გარშემო მოხვეული ბავშვები შემოგვეცალნენ. გვარის უხუცესი ბარგანჯია, რომელსაც თავზე მწყემსის ყაბალახი ახვევია, კვლავ ჩვენთან ზის და ჩვენთან ერთად უსმენს კონსტანტინე ლომიას, რომელიც მეგობრობაზე დაწერილ გულწრფელ ლექსებს გვიკითხავს. დასასრულ მან მღელვარებით წაგვიკითხა თავისი ბოლო ლექსი „გორკი კოდორის ნაპირას“.

ლურჯი ცის ფონზე კიდევ დიდხანს ჩანს დაუღლებელი თუთისა და ვაზის ხეების შავი სილუეტები. მასპინძლებს გამოვეთხოვეთ და სოხუმისაკენ გზას გავუდექით.

დაძინებამდე სამშობლოდან მეუღლე ტელეფონით დამიკავშირდა. საქართველო როგორ მოგეწონათ, — ასეთი იყო მისი პირველი შეკითხვა.

გმადლობ, ძალიან მომეწონა მეთქი და თვალწინ დამიდგა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, თუ როგორ გადმოვიარე კავკასიის განთქმული გზა — საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც თავის დროზე პუშკინს, ლერმონტოვს, ლევ ტოლსტოის და ბოლოს გორკისაც გადმოუვლია. წარმოვიდგინე ჯვრის მონასტერი, რომლის ძალუმი კედლებიდან დავცქეროდი საქართველოს ძველისძველ დედაქალაქ მცხეთას, მტკვრისა და არაგვის ხეობას, სადაც პომპეუსის რომაელები ამაოდ ცდილობდნენ მდინარეზე გადასვლას. თვალწინ დამიდგა მცხეთის ტაძარი სვეტიცხოველი.

მწერალთაგან თუ გაიცანი ვინმეო, ისევ ჩამეკითხა მეუღლე.

რასაკვირველია, გავიცანი მეთქი და ველაპარაკე ი. აბაშიძეს, კ. ლომიას, ბ. ჟღენტსა და სხვა ქართველ მწერლებს, რომელთაც თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ თანამედროვე „პოლიტიკურ“ ლიტერატურასთან ერთად ისტორიული რომანის განვითარებასაც მიაქციონ ყურადღება, ველაპარაკე 73 წლის რომანისტ კონსტანტინე გამსახურდიაზე, რომელსაც გერმანიაში უსწავლია. მან ქართულად უთარგმნია „ვერტერის ვნებანი“ და გოეთეს შესახებ წიგნიც დაუწერია. კ. გამსახურდიას ტრილოგიის „მთვარის მოტაცების“ მოქმედება ნაწილობრივ გერმანიაში მიმდინარეობს, ხოლო მისი ერთ-ერთი მთავარი გმირი გერმანელი ქალია. უეჭველად ამაზე კი გერმანიის არც ერთმა გამომცემლობამ არაფერი იცის, არც „მაიერის ახალ ლექსიკონშია“ ნათქვამი რამე“.

* * *

საქართველოდან რეპორტიორი გ. შტაინი აზერბაიჯანში გადასულა და მ. გორკის ნაკვალევს გაჰყოლია.

გ. შტაინის შთაბეჭდილებებს ახლავს შემდეგი სურათები: გორკი სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან; ექიმი ცაცინო ბარგანჯია სამუშაო კაბინეტში; სოფელ აქუბას ერთ-ერთი კუთხე, მეტეხი, სადაც გორკი იყო დაპატიმრებული; არტურ ლაისტის საფლავის ქვა; გ. შტაინის, ირ. აბაშიძის და კ. გამსახურდიას ერთად გადაღებული სურათი.

ო. ხუციშვილი

თეატრის ახალი შენობა

მტკვრის ნაპირზე აღიმართა მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი, ლამაზი და კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც სულ რამდენიმე დღეში მიიღებს პირველ სტუმრებს.

შევდივართ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შენობაში და უმალ გვახსენდება შოთას სტრიქონები: „რა ისმინეს მღერა ყრმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“. ამ სტრიქონებს ვერც ერთ კედელზე ვერ წაიკითხავთ, მაგრამ მას მოგაგონებთ კობა გურულის ჭედური ნამუშევარი. ხელმარცხნივ, კედელზე გამოსახულია ორფეოსი. იგი მღერის, რომ ყველა მსმენელი დაატყვევოს. შესანიშნავი სიმბოლიკაა: მართლაც, ამ შენობაში, ამ კედლებში ისეთი ჰანგები უნდა დაიღვაროს, რომ ყველა მსმენელი მოხიბლოს და დაატყვევოს. ეს არის სიმბოლიკა, რომლის მიხედვითაც თეატრის კოლექტივი მაყურებელს შემოქმედებითი სიხარულისა და ესთეტიკური სიამოვნების პირდება.

ბევრი რამ ორიგინალურად ჩაუფიქრებიათ თეატრის რეკონსტრუქციის ხელმძღვანელებს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ ლითანიშვილსა და არქიტექტორ თენგიზ მაჭავარიანს. თუ მაყურებელს დაიგვიანებს და მოქმედების დამთავრებამდე დარბაზში ვერ შევა, ფოიეში დადგმული ფართოეკრანიანი ტელევიზორით მას შეუძლიან უყუროს იმას, რაც სცენაზე ხდება.

მაყურებელთა დარბაზი საკმაოდ დიდია. იგი რვაასამდე კაცს დაიტევს. არქიტექტორებს ყველაფერი ისე ჩაუფიქრებიათ, რომ არ არსებობს ე. წ. „მკვდარი ადგილი“. აკუსტიკა შესანიშნავია. თეატრის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოსათვის მზადდება სპეციალური სპექტაკლ-კონცერტი „ჩვენი სიხარული“. რეჟისორია საქართველოს სახალხო არტისტი არჩილ ჩხარტიშვილი, მხატვრები — ო. ლითანიშვილი და თ. მაჭარაშვილი. მუსიკალური მონტაჟის ავტორია კომპოზიტორი შ. მილორავა, დირიჟორია მ. ბორხხაძე, ქორეოგრაფი — დ. მაჭავარიანი.

ახალი შენობა თეატრის კოლექტივს ახალი შემოქმედებითი გამარჯვებისათვის აღაფრთოვანებს. აქ მალე წარმოდგენილი იქნება სულხან ნასიძის პირველი ოპერეტა, რომელსაც პირობითად „სტუდენტები“ ეწოდება (ლიბრეტო ნ. ხუნწარიასი, დადგმა ჟ. დარჩიასი). სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის რეჟისორობით მაყურებელი მალე ნახავს კალმანის ცნობილ ოპერეტა „მონმარტრის იას“ (მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი). თეატრი განაახლებს „სიმღერას თბილისზე“, „ჩანიტას კოცნას“ და „ცირკის პრინცესას“.

* * *

სურათზე: მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი შენობის დარბაზი.
ფოტო მ. როსტიაშვილისა.

ცნობები მოსკოვიდან

ქართული ლიტერატურის საზოგადოებრივი საბჭოს სხდომაზე

ამ დღეებში სსრ კავშირის მწერალთა კავშირში შედგა ქართული ლიტერატურის საზოგადოებრივი საბჭოს პირველი საორგანიზაციო სხდომა. საბჭოს წევრებმა — მწერლებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა და მთარგმნელებმა — განიხილეს საბჭოს მომავალი მუშაობის გეგმა.

სხდომამ საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია პაველ ანტოკოლსკი, თავმჯდომარის მოადგილეებად — ირაკლი ანდრონიკოვი, გიორგი მდივანი და ვლადიმერ სოლოუხინი.

„რუსთაველის ნაკვალევზე“

ახლახან საკავშირო რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციამ მოაწყო ი. აბაშიძის ლექსების გადაცემა. „ი. აბაშიძე. რუსთაველის ნაკვალევზე. ციკლი ახალი ლექსებისა“, — ასე ერქვა ამ გადაცემას.

გადაცემა დაიწყო ი. სუროვცევის შესავალი სიტყვით. კრიტიკოსმა მეტად თბილად დაახასიათა პოეტის ახალი ლექსები. შემდეგ მიკროფონთან მიიწვიეს ცნობილი საბჭოთა პოეტი ა. მეჟიროვი. მან წაიკითხა ი. აბაშიძის ლექსები რუსულ ენაზე.

ფესტივალი დაიწყო

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში დაიწყო მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალი. იგი მიმდინარეობს დევიზით: „გზა მშვიდობიანი მეზობლობისაკენ“. ფესტივალზე წარმოდგენილია ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, კუბის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ფილმები.

საბჭოთა კინოხელოვნების ნიმუშებიდან აქ გაეცნობიან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოებს „ქორწილს“. ეს არის ახალგაზრდა რეჟისორ მ. კობახიძის სადიპლომო ნამუშევარი, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს მსახიობი გ. ქავთარაძე. საბჭოთა ფილმებიდან აქ წარმოდგენილია აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის კინოსტუდიის ნაწარმოები „ნაპირი საღამოს ხანს“ და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიის ნაწარმოები „ძებნა გრძელდება“.

კინოფესტივალი 27 თებერვალს დამთავრდება.

ქუთაისელი მწერლები განიხილავენ

ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ მოაწყო ლილი ნუცუბიძის ახალი ლექსების განხილვა. ლ. ნუცუბიძე ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილია, როგორც საბავშვო ლექსების ავტორი, ამჯერად კი მან წარმოადგინა ლირიკული ლექსები. ამ ნაწარმოებებში იგი უმღერის სამშობლოს, სიყვარულს.

ლ. ნუცუბიძის ლექსებზე მოხსენება გააკეთა პოეზიის სექციის თავმჯდომარემ გ. სამხარაძემ. მან კარგი შეფასება მისცა პოეტის ნაწარმოებებს და მიუთითა ზოგიერთ ნაკლზე.

სიტყვებით გამოვიდნენ ა. გურჯიძე, ნ. კუხიანიძე, შ. ტოგონიძე, შ. ხაგალია, ქ. კვეიძე, ლ. სანიკიძე, ა. ბარათაშვილი, დ. კვაცარიძე და სხვები.

მხატვრის გოგონა. ფოტოეტიუდი შ. ფურცხვანიძისა.

შეხვედრები, საღამოები

18 თებერვალს საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის კალინინის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ და კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ მოაწყო საღამო თემაზე — „გიყვარდეს შენი ქალაქი, გაუფრთხილდი მის ღირსებას!“

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა პ. კანდელაკმა.

მოხსენება — „გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და დიდი კულტურის ქალაქად“ — წაიკითხა მილიციის პოლკოვნიკმა ქ. გიორგაძემ.

სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა იოსებ ნონეშვილმა, როდიონ კორკიამ, ნოდარ გურამიძემ, მორის ფოცხიშვილმა და ბიბლიოთეკის თანამშრომელმა გრიგოლ ხაჭარაიამ.

* * *

თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დავით ლორთქიფანიძის წიგნის „იან ამოს კომენსკი“ განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერ მუშაკებმა და პედაგოგებმა: გ. ცორცოლიანმა, დ. გურგენიძემ, ვ. რამიშვილმა, ლ. მელაძემ, მ. შუბლაძემ, შ. ამონაშვილმა და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ პროფ. დ. ლორთქიფანიძის 30 წლის ინტენსიური შრომის შედეგად შექმნილი ეს კაპიტალური გამოკვლევა ქართული პედაგოგიური მეცნიერების ძვირფასი შენაძენია.

ნელი ჩაჩავა

მწერლები „აგროვებენ“ სიმამაცეს

დიახ, სწორედ ასეა. ჩვენს წინ დევს ახალი კრებული. მისი სათაურია „მადლობა თქვენ, ადამიანებო“. წიგნი უჩვეულოა. უჩვეულოა მისი შექმნის ისტორიაც. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ორი ცნობილი საბჭოთა მწერალი სერგეი მიხალკოვი და კონსტანტინე სიმონოვი გუდაუთიდან მოსკოვს მიფრინავდნენ. თვითმფრინავის სარკმლიდან ლურჯად მოლივლივე ზღვა ჩანდა, ჩამავალი მზის შუქზე მთები თვალისმომჭრელად ლაპლაპებდნენ... უცებ მწერლები მიხვდნენ, რომ მგზავრთაგან თითქმის არც ერთი არ იყურებოდა სარკმელში. „თვითმფრინავში მუდამ კითხულობენ გაზეთებს, — წერენ შესავალ წერილში ს. მიხალკოვი და კ. სიმონოვი, — მაგრამ ის, რომ ათი მგზავრიდან ცხრამ თვითმფრინავის აფრენასთან ერთად გაზეთი გაშალოს და მომხიბვლელ სანაპიროს უკანასკნელად არ შეავლოს თვალი, იშვიათად ხდება ხოლმე. ცოდვა გამხელილი სჯობს, ერთი პირობა კიდეც ვიფიქრეთ, „სოიუზპეჩატის“ დაკვეთით დოკუმენტური ფილმების სტუდია პერიოდულ გამოცემათა გავრცელების მოწინავე მეთოდებზე ფილმს იღებდა. სინამდვილეში კი სულ სხვანაირად ყოფილა საქმე“.

თვითმფრინავის აფრენის წინ „სოიუზპეჩატის“ კიოსკში მგზავრებმა ახალთახალი გაზეთები იყიდეს. თითქმის ყველა მათგანი ბეჭდავდა მეტად საინტერესო წერილს სამოქალაქო ავიაციის პილოტის უჩვეულო სიმამაცეზე. სამოქალაქო ავიაციის პილოტმა მწყობრიდან გამოსული თვითმფრინავი გაყინულ ნევაზე დასვა. მგზავრები გადარჩნენ.

აქ მწერლებს გაახსენდათ ყველა ის შემთხვევა, რაზეც ამ უკანასკნელ ხანს წერდნენ ცენტრალური გაზეთები. მათი გმირები იყვნენ უბრალო ადამიანები. აქვე, თვითმფრინავში მწერლებს დაებადათ სურვილი შეეკრიბათ ყველა ის ფაქტი, ყველა ის რეპორტაჟი თუ ინფორმაცია, სადაც საბჭოთა ადამიანთა უჩვეულო სიმამაცე და თავგანწირვა იყო მოთხრობილი. ამ ცნობებისა და რეპორტაჟებისაგან წიგნი უნდა შემდგარიყო.

გავიდა წელიწადი. და აი, ჩვენს წინ დევს წიგნი „მადლობა თქვენ, ადამიანებო!“ თავფურცელს აწერია: წიგნი შეადგინეს, შეაგროვეს და მკითხველებს მიაწოდეს სერგეი მიხალკოვმა და კონსტანტინე სიმონოვმა.

იგი გამოსცა „მოლოდაია გვარდიამ“.

„მადლობა თქვენ, ადამიანებო!“ — ეს ორასგვერდიანი წიგნი შედგება ცხრა განყოფილებისაგან: „ეს მოხდა ტაიგაში“, „მამაცებს არ ეშინიათ ხანძრისა“, „აფეთქება არ მოხდა“, „სიმამაცის ტრასაზე“, „სიცოცხლე მეგობრის ხელშია“, „ნორჩების სიმამაცე“, „დამნაშავე შეპყრობილია“, „სპეტაკი სულის ადამიანები“. მარტო ამ სათაურების ჩამოთვლაც კმარა, რომ მივხვდეთ: სიმამაცე და გამბედაობა, წინდახედულება და კეთილშობილება, ერთგულება და მეგობრობა მუდამ თან ახლავს საბჭოთა ადამიანს.

ამ წიგნში მოთავსებულია ჩვენი ქვეყნის სამოცდაათი გაზეთიდან ამოღებული მასალები. და, რა თქმა უნდა, საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი რესპუბლიკის გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებსაც.

აი ასეთია ეს უჩვეულო წიგნი, რომელიც ბევრი რამით განსხვავდება სხვა წიგნებისაგან. მისი უკანასკნელი ფურცლის ჩაკითხვა არ ნიშნავს, რომ იგი დამთავრდა. შეიძლება რამდენიმე ხნის შემდეგ ამ წიგნის მკითხველმა თვითონ განაგრძოს იგი.

თამარ შამილი

ახალი წიგნები

„სამი მზე“



ამას წინათ ხარკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ „პრაპორიმ“ გამოსცა ახალგაზრდა პოეტის უშანგ რიგინაშვილის ლექსების კრებული „სამი მზე“. უ. რიგინაშვილი დაიბადა და გაიზარდა თბილისში. შემდეგ სასწავლებლად გაემგზავრა ხარკოვში. აქ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება მისი ლექსები. იგი რუსულად წერს. ახალგაზრდა პოეტის პირველ კრებულში შესული ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. ყურადღებას იქცევს ლექსები: „თაობების შესახებ“, „ოსცილოგრაფი“, „ადამიანი“, „სურამის ეტიუდი“, „შემოდგომა მთებში“, „ნიკო ფიროსმანი“, „ყალამი“, „სიყვარული“, „ჭადრაკი“, „სიკვდილი“ და სხვ.

„საბჭოთა საქართველო“

რევაზ თვარაძე — ლიტერატურული წერილები. რედაქტორი — ბ. მირცხულავა, მხატვარი — ა. სარჩიმელიძე. გვ. 223, ფასი 60 კაპ.

უილიამ თეკერეი — ამაოების ბაზარი. (რომანი, წიგნი მეორე. თარგმანი ალ. გამყრელიძისა). რედაქტორი — ლ. ელიოზიშვილი, მხატვარი — ი. ღვინოგორცევა-გრიგოლია. გვ. 481, ფასი 96 კაპ.

ილია ილფი და ევგენი პეტროვი — თორმეტი სკამი. ოქროს კერპი. (თარგმანი რევაზ კობიძისა), რედაქტორი — არჩ. დავითიანი, მხატვარი — გ. გორდელაძე. გვ. 622, ფასი 1 მან. 39 კაპ.

ალექსანდრე სამსონია — ზღვა, მზე და სიყვარული. (იუმორისტული მოთხრობები). რედაქტორი — ქ. თავაძე, მხატვარი — გ. ფირცხალავა. გვ. 153, ფასი 31 კაპ.

„დროშა“ № 2

ჟურნალ „დროშის“ თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ა. გეწაძის, თ. შალამბერიძის, ტ. მებუროშვილის, ლ. ასათიანის ლექსები, კარელიურ-ფინური ეპოსის „კალევალას“ ნაწყვეტი, რომლის თარგმანიც მ. მაჭავარიანს ეკუთვნის, ს. კლდიაშვილის მოთხრობა „სევდა შორეულ კუნძულზე“, ვ. სიხარულიძის „ქალიშვილი, რომელიც ვეღარ დაბრუნდა“, პ. იაშვილის უცნობი ექსპრომტი, მ. კანდელაკის წერილი „ილია ჭავჭავაძე რუსული პრესის ფურცლებზე“, შ. დადიანის მოგონება შირვანზადეზე, ზ. ელბაქიძის ზღაპარი „სინდის-ნამუსი“, გ. ბარამიძის „ნარინჯოვანთა ხეობაში“, შ. გოგიძის „ასე ლევიდებოდა ნაპერწკალი“, ბ. ორლოვის „ჰიპ მიეშველება სიცოცხლისაგან დაღლილთ“, მ. სააკაშვილის „წყნარი ქართა ბაღი“, ი. ტაბაღუას „მარი ბროსეს ნაკვალევზე“, გ. ფანჯიკიძის „ფეხბურთი და მაყურებელი“, შ. ნუცუბიძის „აღმოსავლეთის რენესანსი და ანალოგისტების მოსაზრებანი“, ალ. სიგუას „წიგნი ჩვენს მწერლობაზე“ და სხვ.

ახალი დადგმები

სცენა სპექტაკლიდან „სეილემის პროცესი“.

„სეილემის პროცესი“

ამერიკელი დრამატურგის არტურ მილერის პიესები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მისი ნაწარმოებები წარმატებით იდგმება საბჭოთა კავშირის თეატრებშიც. ამ დღეებში კი რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ა. მილერის „სეილემის პროცესი“ (თარგმანი ქ. ლორთქიფანიძისა).

პიესა დაწერილია 1952 წელს. იგი მოგვითხრობს ამერიკის პატარა ქალაქ სეილემში 1692 წელს მომხდარ ტრაგედიაზე. დრამატურგმა „სეილემის პროცესში“ დაგმო და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ადამიანთა ცრურწმენა, ძალადობა და დაბეზღება, რომელიც თითქოსდა სახელმწიფოს უშიშროებისთვის ხდება.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა რ. სტურუამ, მხატვრობა ეკუთვნით ო. ქოჩაკიძეს, ა. სლოვინსკის და ი. ჩიკვაიძეს, მუსიკალური გაფორმება — ე. მაჭავარიანს. როლებს ასრულებენ ს. ზაქარიაძე (დენფორტი), გ. საღარაძე (მეილი), ემ. მაღალაშვილი (ჯონ პროქტორი), ზ. კვერენჩხილაძე (ელიზაბეტი), ი. გიგოშვილი (აბიგაილ უილიამსი), ბ. კობახიძე (პერისი), მ. მაღლაკელიძე (მერი უორენი), თ. ჩარკვიანი (ბერსი) და სხვები.

„გავიხსენოთ ჩვენი ახალგაზრდობა“...

გრიბოედოვის სახელობის რუსულმა თეატრმა კიდევ ერთი ახალი ქართული პიესა გააცნო მაყურებელს. ამ დღეებში აქ წარმოდგენილი იქნა კეტა ბუაჩიძის კომედია „გავიხსენოთ ჩვენი ახალგაზრდობა ანუ სიყვარული სამ ტაიმად“. პიესა ასახავს ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებას. სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. გომიაშვილმა, რომელიც თვითონვე ასახიერებს ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის — ხანდრო ქათამაძის როლს. სპექტაკლის მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. თავაძე, კომპოზიტორი — ჯ. პეჯნერი.

როლებს ასრულებენ: ნ. კილოსანიძე (იამზე მატაბელი), ა. გვაძაბია (გაბიდაური), ი. შევრუკი (ვახტანგ კონდარიძე), ლ. კრილოვა (ველიტა ბოსტოღანაშვილი), ნ. სვერანსკაია (ცოცონა), დ. ბლავინი (ზაქრო) და სხვები.

სოხუმის თეატრის სცენაზე

20 თებერვალს სოხუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ოთარ ჩხეიძის ორმოქმედებიანი ისტორიული დრამა „მამათ თედორე“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. სულიკაშვილმა, დეკორაციულად გააფორმა მხატვარმა თ. ჟვანიამ, მუსიკალურად — კომპოზიტორმა მ. ბერიკაშვილმა.

მთავარი როლები წარმატებით შეასრულეს საქართველოს სსრ სახალხო და დამსახურებულმა არტისტებმა მ. ჩუბინიძემ, ქ. დოლიძემ, ვ. სალაყაიამ, ა. ბოკუჩავამ, მსახიობებმა ნ. მასხულიამ, ბ. თოფურიძემ, ნ. ბეჟაურმა, ა. ნეუცუბიძემ და ო. ხაჩატუროვამ.

მაყურებელს განსაკუთრებით მოეწონა საქართველოს სახალხო არტისტის თამარ ჭავჭავაძის დედა-ხორეშანის მართალი და ღრმად ფსიქოლოგიური სახე.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 18, ტელეფონი — 3-42-10. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05462.